# დროება

ყოველდღიური სამოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 233 ოთხშაბათი, 21 ოქტომბერი 1909 წ. № 233

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., ხწვა ადგილებიდან (კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტისა ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. ხამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ.. ითხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ.—ის განცადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვი, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა, და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება «დროების» რედაქციაში და კანტორაში ყოველ დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან [illegible] თი 5-დან 8-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს [illegible] ინახება ერთის თვით მხოლოდ [illegible] მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან სამუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. «ДРОЭБА»

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.



## დროება

ყოველ დღიურ გამოცემის გარდა გაზეთს აქვს ყოველკვირეული

## სურათებიანი დამატება

გაზეთის ფასი დამატებიანა: პირველ ოქტომბრიდან წლის ბოლომდე 3 მან., ერთი თვით 1 მან.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან.

ხელის-მოწერა შეიძლება რედაქციის კანტორაში: დიდი ვანქის ქუჩა, N 12, დილით 9-დან 3 საათამდე. საღამოთი 5-დან 8 საათამდე.

ადრესი: Тифлисъ, Редакція „Дроэба" И. С. АГЛАДЗЕ.



## „დროების" კანტორისაგან.

წლიურ ხელის მომწერთ, ვისაც სრულად არა აქვს ფული შემოტანილი, გაზეთი აღარ გაეგზავნებათ. ● ყოველ თვის პირველ რიცხვიდან გაზეთი აღარ ეგზავნება ვისაც დამდეგ თვის ხვედრი ფული შემოტანილი არა აქვს. ● ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან და არა ნაკლებ ერთი თვისა. ● გაზეთის ყოველ მიუღებლობაზე საჭიროა ხელის მომწერმა კანტორას აცნობოს, რომ მომავლისთვის ყურადღება მიექცეს.



**ანნა სტეფანეს ასული ოცხელისა, იოსებ სვიმონ, დავით, კონსტანტინე ივანეს ძენი ოცხელნი, სოფიო ივანეს ასული პოლოლიკოვისა, ნინა ივანეს ასული ოცხელი,** აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას—პირველი ძვირფას შვილის, დანარჩენნი დაუვიწყარ ძმის

კიევის უნივერსიტეტის სტუდენტის

## ალექსანდრე ივანეს ძის ოცხელისას.

გამოსვენება საკუთარ ბინიდან (ქუთაისი, ტფილისის ქ.) ხუთშაბათს დილის 9 საათზე. პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 5 საათზე. (2—კვ.—2)



**პორფირი გოცირიძე, პლატონ, ლილოსი, ბარბლა, ცაცა და მეგი კორძაიები, ნინო და ზურაბ გველესიანი და თავ. სარდიონ ფალავა** აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ნახევარი წლის წირვა და პანაშვიდი გარდაცვალებულის

## ვერა პლატონის ასულის გოცირიძის

სულის მოსახსენებლად გარდახდილი იქნება ქ. ქუთაისში მთავარანგელოზის ეკკლესიაში ხუთშაბათს, 22 ოქტომბერს. (1—512—1)



**წარმოდგენა № 9.** ## ქართული თეატრი **წარმოდგენა № 9**

**ხუთშაბათს, 22 ოქტომბერს, 1909 წელს. პირველი აბონიმენტი.**

ქართულ დრამატ. საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება:

**კომედია ვ. შექსპირისა.**

## ჭირვეული ცოლის მორჯულება

კომედია 3 მოქმედებად თარგ. კ. მესხისა.

## დ ე დ ი ს ე რ თ ა

კომედია 1 მოქმედებად ვ. გუნიასი.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი: ა. კარგარეთელი, მ. ძლივანი, ე. ჩერქეზიშვილი, პ. მღთამე; ბ-ნნი ვ. გამყრელიძე, გ. გედევანოვი, ნ. გვარამე, ი. ზარდალიშვილი, ი. ივანიძე, ი, იმედაშვილი-ხამმელი, კ. მესხი, ვ. მატარამე, შ. საფაროვი, გ. შათირიშვილი.

**ადგილების ფასი:** ლოჟები 10 მ. 50 კ.-დან 5 მ.-მდე, პარტერი 2 მ. 50 კ.-დან 60 კ.-მდე, გალერეია 40 კ.-დან 20 კ.-მდე, მოწაფეთათვის 40 კაპ.

**დასაწყისი სწორედ საღამოს 8 საათზედ.**

მზადდება წარმოსად. „იმედის დაღუპვა", „ქოჩრიანი ტოროლა".

**მორიგი რეჟისორი კ. მესხი.** რეჟისორის თანაშემწე ვ. ურუშაძე.

**დრ. საზოგადოების ადმინისტრაცია.**



ტფილისის წვრილ ვაჭართა პროფესიულ საზოგადოების

## მთავარი კომიტეტი

ამით აცხადებს, რომ წარსულ წლის მიხედვით, წელსაც დანიშნულია ერთი დღე—23 ოქტომბერი, როდესაც საზოგადოების წევრნი ვაჭრნი მთელ თავიანთ ნავაჭრიდან წილს გადასდებენ

## ქართველთა შორის წ.-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ

ამიტომ მთავარი კომიტეტი სთხოვს ქალაქის მცხოვრებთ, კეთილ ინებონ და 23 ამა ოქტომბერს იმ ვაჭრებთან ივაჭრონ, რომელთა სია ცალკე იქნება ამ დღეებში დაბეჭდილი.



## ვაგზლის კერძო სამკურნალო

გახსნილია ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.

**ს. ვაშაყმაძე**—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.

**ი. გ. გომართელი**—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.

**ა. ნ. დიასამიძე**—ყოვ. დღე, 11½—12½ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

**ნ. მ. მელიქიშვილი**—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2 ს.

**ვ. ს. მუსხელიშვილი**—სამშ., ხუთშ., შაბ. 2—2½ ს. თვალისა.

**ზ. ა. პოპოვი**—ყელ., ყურ. და ცხვ. ყოველ დღე 12—1 ს.

**ე. გ. ფედოროვი**—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ. ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით. (წლ.—ნ.—185)



## ქართული თეატრი

შაბათს, 24 ოქტომბერს, 1909 წ. გაიმართება საჯარო ლექცია ქართულად

## გრიგოლ რობაქიძისა

ა მ თ ე მ ა ზ ე:

## სულიერი დრამა ნიკოლოზ ბარათაშვილისა

ლექციის დაწყების წინ **ბ. ივ. გომართელი** წაიკითხავს ბარათაშვილის მოკლე ბიოგრაფია-დახასიათებას, ხოლო თავ. **ნიკოლოზ ერისთავი** წარმოსთქვამს პოეტის რამდენსამე ლექსს.

დაწვრილებით პროგრამებში. ბილეთები იყიდება თეატრის გასაში.

**დასაწყისი საღამოს 8 საათს.** (5—4)



## ტფილისის კერძო სამკურნალო

**30 მუდმივი საწოლით და სამშობიარო განყოფილებით.**

ქსენიას ქუჩა, სახლი № 7, „ვეტცელის" სასტუმროს ახლოს, ტელეფონი № 590.

**ბალარჯიშვილი ვ. დ.** შინ. და ბავშვ. ყოველ-დღე, გარდა კვირისა 2—3 ს.

**ლამბაშიძე ვ. დ.:** შინ. და ბავშვ. ყ.-დღე; კვ. გარდა 11-12 საათ.

**გედევანიშვილი მ. ა.** ნერ. და ელექ., ორშ., ოთხშ., და პარ. 10½—11 ს.

**გურკო გ. ა.** შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.

**კარშინი ა. ა.** კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა 2½—3½ ს.

**მალალაშვილი გ. გ.** შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

**დ მანსვეტოვი ვ. მ.** შინ., ორშ., ხუთშ., ა შაბ. 1—2 ს.

**მელიქიშვილი ნ. მ.** ქირურ. და დედაკაც. ყოველ-დღე 12—1 ს.

**მუსხელიშვილი ვ. ს.** თვალის, ორშ., ოთხშ. და პარას. 2—2½ ს.

**ფირალოვი რ. ბ.** ქირურ. ყოველ დღე 11—12 საათ.

**პაპოვი ზ. ა.** ყურ,, ყელის და ცხვირ. ყოვ. დღე, გარდა პარას. 2—2½ ს.

**რცხილაძე ნ.** კბილ. ყოვ. დღ. 9—10 ს.

**ხობოლევსკი გ. ვ.** ქირურ. ყოვ. დღ. 9—11 საათამ.

**თიკანაძე ი. ე.** დედაკ. საბებიო ყოველ დღე 1—2 ს.

**ფედოროვი ე. გ.** მიკრ , ქირ.-ბაქტ. გამოკვლევა. (100—ნ.—17)



[illegible]

## [illegible]

**კაბინეტი ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსა მ. გედევანიშვილისა**

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. 791. (0—ნ.—87)

**ექიმი -სპეციალისტი ქ. ქუთაისში ჩარექოვი**

იღებს განსაკუთრებით სიფილისიან, ვენერიულ და კანით ავადმყოფებს. ილია ჭავჭავაძის ქუჩა (გეგუთის ქუჩა) აბულაძის შესახვევი, იოსელიანის სახლი. დილით 12—2 ს., საღამ. 5—6 ს. (25—ფ.—10)

**ექიმი ვასილ წერეთელი ქუთაისში**

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს. საღამოს 4—6 საათზე. ივანოვის ქ., მოსე ქიქოძის. სახლი. (0—უ.—29)

**ექიმი გ. მაგაკიანი.**

**შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი, სპეციალური ავად. ნაწლავებისა და კუჭისა.** ავადმყოფებს იღებს დილით 12—1 ს., საღამოთი 5—6 ს. მიხეილის პრ., N 36, ს. ჭავჭანიძისა. (100—ზალ.—42)

**ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი**

იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველდღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნი, N 9. (უ)

**ექიმი კბილისა ნინო რცხილაძე**

იღებს ავადმყოფებს დილით 10—2 ს., საღამოთი 5—7 ს. ვერა, ოლგას ქუჩა, N 25.

**ექიმი კბილისა ალ. სოლოლაშვილი**

იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12. სახლი მდივანისა. (უ)

ქ უ თ ა ი ს შ ი

კბილის ექიმის **დ. ს. რიჟინაშვილის** კაბინეტთან **გაიხსნა**

## სამკურნალო

პირის და კბილების სენისა. პლომბები, ჩასმა ხელოვ. კბილებისა, გადაკეთება, კბილების ამოღება და სხვა ოპერაციები უტკივრად. ნიზრი მთავრობისაგან დამტკიცებულია. მოსიარულე ავად. მიღება ყოველ დღე დილის 8-დან საღ 7 ს.-მდე. პუშკინის ქუჩა, საკ. სახლი, N 28. **ვიტუშინსკის** აფთიაქის გვერდით. (100—ნ.—24)

**ექიმა ქუთაისში. ვოლოხმა**

ავადმყოფობის შემდეგ განაახლა ავადმყოფების მიღება. დილით 10—12 ს., ხოლო საღამოთი 5—7 ს. კვირაობით მიღება მხოლოდ 1-მდე. (25—კვ.—9)

**ექიმი კბილისა ქუთაისში ნ. ა. დემიდოვი**

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბოწის ქუჩა, სახლი N 14, დემიდოვისა. (0—586—277)

**ექიმი ა. ნ. დიასამიძე**

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ., N 4, სახლი გაბაშვილისა. (უ)

**ექიმი კ. ს. ფონ-ირტელი**

არჩენს სპეც. თირკმ., სამ., ვენერ., სიფ., ქარ. და კანის ავადმ. (სქეს. უძლ., სისუსტ., ქრონ., ტრიპერი) ელექ.-სამკ. კაბ. დილ. 9—12 ს., საღ. 5—8 ს. ვორონ. მუხლ., მონუმენტის შეს., N 5, ს. შაფრანოვისა, ბუფ. გვერდზე. (100—ზალ.—28)

**ექიმი ი. ნ. ეგიაზაროვის**

ელექტრო - თერაპევტიული კაბინეტი. სპეციალ. ნერვებისა და შინაგ. ავადმყოფობანი. მიღება დილით 12—1 ს., საღამოთი 6—7 ს. ველიამინოვის ქ. N 4. (100—ზალ.—37)

**ექიმი ლ. ნ. ოჯანჯანოვი**

ყოფილი ასისტენტი პროფ. ნიცისა ბერლინში, სპეციალურად: **საშარდეს, სიფილისის, ვენერ. და კანის ავადმყოფობანი.** დილით 9—11 ს., საღამოთი 6—8 ს. ბავშვები და ქალები 11—12 ს. კადეტის ქ., N 2. (გოლოვინსკის კუთხე.) (100—ზალ.—42)

**ექიმი ვ. ლ ა მ ბ ა შ ი ძ ე**

გადავიდა გოლოვინის პრ N 8. ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ)

**ექიმი ე. ვ ა შ ა კ ი ძ ე**

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბელინსკის ქუჩა, N 18 (ყოფილი კირპიჩნაია). 0—34)

**ექიმი ქუთაისში კ. თ. ტყეშელაშვილი**

იღებს შინაგან და **სპეციალურად ვენერიულ** სნეულებით ავადმყოფთ (სუსუნატი, სიფილისი, საშარდე მილის, ბუშტის და თირკმელების (ჭაჭების) სატკივარი, დილით 9—12, საღამოთი 5—7; კვირაობით მხოლოდ დილით. ტფილისის ქ., სახლი ფირალოვისა (0—33.—84)

**ექიმი კაკიტელაშვილი ქუთაისში**

9 ივლისიდან ავადმყოფებს მიიღებს ხომხის ქუჩაზე, თოფურიასეულ საავადმყოფოსთან. მიიღებიან შინაგ., ბავშვთა და ქალთა ავადმყოფობით სნეულნი. დილით —11 ს .საღამოთი 5—7 ს. (100—ნ.—10)

## სამკურნალო

**ექიმთა საზოგადოებისა**

მუდმივ კრაოტებით.

მიხეილის პრ., 59. ტელეფონი N 1026.

**ავადმყოფთა მიღება:**

**მ. ალაჯანოვი**—საშარ. სიფილ. და კან. 11—12 საათ.

**ნ. ათენიანცი**—ყურ., ცხვირ. და ყელ. 1—2 ს.

**ვ. ვნუკოვი**—ქირურგიული ავად. 1—2 ს.

**ი. ეგიაზაროვი**—ნერ. და შინ. 11—12 ს.

**მ. კიმონტი**—ქირურგ, ავად. 11—12 ს.

**მ. მაგაკიანი**—შინაგ. და ბავშ. 10—11 ს.

**ლ. მონინა**—ქალის ავად. და ბებიაობა 1—2 საათ.

**ა. კალმიკოვა-ვნუკოვა**— ქალის ავად. 2—3 საათ.

სამკურნალოსთან ელექტრონით ექიმობა. მასაჟი; მიკროსკ., ბაქტერ. და ქიმიური გამოკვლევანი. ყვავილის აცრა. ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისთვის 50 კ. ოპერაციები და კონსულტ. შეთანხმებით. საავადმ. განყოფილება შესდგება საზოგ. პალატებისა და ცალკე ნომრებისაგან. (100—ზალ.—40)


## სახელმწიფო სათათბირო

(სააგენტოს დეპეშები)

**კანონ-პროექტი მიწათ-მოწყობის შესახებ.**

მეხუთე სხდომაზე (19 ოქტომ.), სათათბირომ კვლავ განაგრძო მიწათ-მოწყობის კანონის განხილვა. ყველაზე მეტი კამათი ამ საღამოს გამოიწვია სამმა მუხლმა, რომელნიც შეეხებოდნენ მიწების მოწყობის საქმეში ადგილობრივ მომქმედ დაწესებულებებს და მათ შედგენილობას.

ვრცლად ილაპარაკა კუტლერმა. იგი შეეხო საგლეხო ბანკსაც და მიწათ-მომწყობ კომისიების მოქმედებასაც. აღნიშნა, რომ ბანკმა განგებ აუწია ადგილებს ფასები. აღნიშნა ისიც, რომ მიწათ-მომწყობ კომისიების წევრებს კარიერის მეტი არაფერი არ აინტერესებთ. მანვე მოითხოვა, რომ კომისიების თავმჯდომარეებად მოსამართლენი იყვნენ.

ბერეზოვსკი პირველმა ციფრებით ხელში დაამტკიცა, რომ საგლეხო ბანკის წყალობით ადგილების ფასმა მართლაც აიწია.

დიდი კამათი გამოიწვია მიწათ-მომწყობ კომისიების შედგენილობამ. ამ საკითხის გამო 56 ორატორი ჩაეწერა, მემარჯვენენი, ზომიერნი და ოქტომბრისტები თხოულობდნენ კომისიებში თავად-აზნაურთა წინამძღოლების და მოხელეების გაძლიერებას, მემარცხენენი კი—გლეხებისას. ბულატმა მოითხოვა, რომ კომისიების წევრები საყოველთაო საარჩევნო წესით არჩეულ იყვნენ, რასაც მემარჯვენეებმა და ოქტომბრისტებმა სიცილი დააყარეს.

სათათბირომ დაადგინა, ეს მუხლები ორატორების შენიშვნებით და დამატებებით კვლავ კომისიას გადაეცეს ხელ-ახლა შესამუშავებლად.

ბოლოს წაიკითხეს 42 დეპუტატის მიერ შეტანილი შეკითხვა შინაგან საქმეთა მინისტრისადმი. შეკითხვა შეეხება იმ წესების დარღვევას, რომლითაც ნავთიანი ადგილები იცემა იჯარით. შეკითხვა ორი კვირის ვადით კომისიას გადაეცა.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

არა ერთხელ აღგვინიშნავს, რომ დასავლეთი საქართველო განსაცდელშია: შიმშილი აუცილებელია. ეხლა თვით ოფიციალური წრეები და დაწესებულებანიც-კი მოწმობენ ამას, რაც იშვიათ მოვლენად უნდა ჩაითვალოს... გაზეთები ხომ დღე არ გავა ამ გარემოებას საზოგადოების ყურადღება არ მიაქციონ.

„მომავალი" სწერს: დღეს დასავლეთ საქართველოს ყოველი კუთხიდან ერთი და იგივე გოდების ხმა მოდის; აუცილებელი შიმშილი ყველას სასოწარკვეთილებაში აგდებს და დაზმარებისაკენ იწვევს გულშემატკივართ. სხვა და სხვა სოფლებიდან მიღებული კორესპონდენციები ისე წააგავან ერთი-მეორეს, რომ ადამიანს გონია, ყველა ერთი კაცის ხელიდან არის გამოსული. ყველგან ერთი და იგივე სურათია. ყველგან უკიდურესი სიღარიბე, ყველგან შიმშილი კარზე მომდგარა... „წლევანდელმა გვალიანმა ზაფხულმა პირწმინდათ ხელცარიელი დასტოვა აქაური გლეხები", „შიმშილობა აუცილებელია", „მოსავალი წელს რაჭა-ლეჩხუმში ძალიან ნაკლები იყო. ხალხს ოთხი თვის სარჩო ძლივს მოუვიდა. ხალხი საგონებელში ჩავარდა, აღარ იციან რით გამოკვებონ ცოლშვილი", „წელს რომ გურიაში ცუდი მოსავალი იყო, ეს ყველასათვის ცხადია. მიუხედავათ ამისა, რაც მოსავალი იყო, იმის მოგროვებასაც კი არ ანებებენ ხალხს. მთავრობა მათ საყანულის ფულს აზდევინებს, რომელიც მემამულეებმა (ნაგაშიძეებმა და ქარცივაძეებმა) თესვის დროს უკვე გადაახდევინეს", „როგორც ყველგან, მთელ დასავლეთ საქართველოში, ისე საჯავახოს მხარეშიც, რასაკვირველია, წელს ძლიერ მცირე მოსავალია. შიმშილი აუცილებელია". — „მორაპნის მაზრაში გვალვამ იმდენათ ძლიერათ იმოქმედა წლევანდელ მოსავალზე, რომ ხალხს სამ-ოთხ თვეს არ ეყოფა მოსული სიმინდი". შიმშილი აუცილებელია—გაიძახის დღეს გურია, იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი და სამეგრელო. შიმშილი აუცილებელია — იმეორებს გლეხობის სევდიან გამოძახილს ჩვენი ჟურნალ-გაზეთები და ინტელიგენცია.

ქუთაისური გაზეთი „ვარსკვლავი" ამოწმებს:

„სოფელი არასოდეს არ მინახავს დალხინებული, მაგრამ მართალი უნდა ვსთქვა, ესოდენი გაჭირვებული დღეს რომ არის, არ მინახავს. შიმშილის აჩრდილი თვალ-წინ უდგას სოფელს. რთველს მორჩნენ, და დღესვე სასიმინდეში არაფერი აქვთ. გამუდმებულ გვალვების გამო, ჩვენი გლეხის მარჩენალს, სიმინდის მოსავალს, თავი დაუკრავს!! ყველას სასიმინდეები განახვეტებული, ანუ სრულიად დაცარიელებულია. ვისაც გამოვკითხე: „მაინც რამდენი ხნის საყოფი ჭირნახული მოიწიე", ყველამ ერთი და იგივე მიპასუხა: „კარგია, წლევანდელი მონაწევი ორ-სამ თვეს თუ გაგვყვა", ცხრა თვე რა უნდა ჰქნას სოფელმა, რით უნდა ისაზრდოვოს?! შიმშილობა აუცილებელია. ქვემო იმერეთის სოფლებს შიმშილობის ნიშანი ეხლავე ემჩნევა (ალბათ აგრეა სხვაგანაც) უჭმელობის ნიადაგზე ათას-გვარი სენია მოდებული. სოფლად: ხურება, ცხელება, ციება, კუჭის სნეულება, ტიფი და სხვა ათას-გვარი სნეულება. ხალხი უზომოდ იხოცება; ერთ დღეს ჩემს მგზავრობისას ერთ პატარა, 150 კომლიან, სოფელში 4 მიცვალებული მიაბარეს მიწას. თვალზე ცრემლი მომადგა, როდესაც დავინახე თუ როგორ ემუდარებოდა ერთი პატარა 7-8 წლის სოფლის ყმაწვილი დედას: დედიკო, დედა თუ ღმერთი გწამს, კიდევ მომიტანე მჭადი, არ მეყო". „არ გეყო, რა ვქნა, შვილო, ცოტა უნდა ჭამო, ხომ იცი საცოდავმა მამა-შენმა ნაცვლად 80-ცი გოდორი სიმინდისა, წელს 14 გოდორი ჩაყარა სასიმინდეში".

ასეთია საქმის ვითარება. საეჭვო აღარავისთვის არის, რომ უბედურება კარზეა მომდგარი. ზემოდ უკვე ვთქვით, რომ მთავრობამაც უწყის ეს, მაგრამ აიტკივებს კი თავს? ყოველ შემთხვევაში გულზე ხელის დაკრეფა არ შეიძლება. მცირე რამ მაინც უნდა გაკეთდეს. რაიმე ორგანიზაცია მაინც უნდა შესდგეს, რომელიც ცნობებს შეჰკრებს, შემოწირულებას მოაგროვებს, შუამდგომლობას აღძრავს და სხვა.

## დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

20 ოქტომბერი

### არეულობა საბერძნეთში

**ათინა.** მთელი პრესსა სასტიკად ჰკიცხავს მეამბოხეებს. ირწმუნებიან, საზღვაო ოფიცრებს აზრადაც არა ჰქონიათ კრიტეს ხელში ჩაგდება, მათ შინაურ არეულობის მოხდენა და შემდეგ საჭირო რეფორმების გაყვანა უნდოდათ. ტიპალდოსი და მისი ოთხი თანამგზავრი იმალებიან.

გუშინ, 19 ოქტომბერს, არა ჩვეულებრივი კრება ჰქონდა სხვა და სხვა კორპორაციების კავშირს. კრებაზე შეეხნენ საზღვაო ოფიცერთა არეულობას. კავშირმა დიდი ხნის კამათის შემდეგ გამოიტანა რეზოლიუცია. რეზოლიუციაში ნათქვამია: საზღვაო აფიცრებმა სამშობლოს ინტერესები დაარღვიეს და საბერძნეთის ერის სახელის გატეხა მოინდომეს, ამიტომ სასტიკად ვკიცხავთ საზღვაო აფიცრების მოქმედებას. ამას გარდა რეზოლიუციაში კრება ხალხს ურჩევს ყოჩაღად იყვნენ და მთავრობას დახმარება გაუწიონ ამბოხების საბოლოოდ ჩაქრობაში.

### იტოს მოკვლა

**ტოკიო.** დღეს, 20 ოქტომბერს, სამხედრო გემით მოასვენეს თავად იტოს გვამი. სადგურზე იტოს გვამს დაუხვდნენ წარჩინებული პირები, მათ შორის ხუთი პრინცი. სადგურიდან იტოს გვამი განსვენებულის სახლში მიასვენეს. ქუჩებში ათი-ათასობით ხალხი იდგა.

### ს პ ა რ ს ე თ ი

**რეშტი.** 17 ოქტომბერს ენზელში გაიხსნა პირველ-დაწყებითი სკო-

ლა. სკოლის შეინახავენ ენზელში რუსების სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებანი.

### საზღვარ-გარედ.

**ლონდონი**. რეიტერის სააგენტოს პეკინიდან ატყობინებენ: გამოქვეყნდა უმაღლესი ბრძანება საიმპერიო კრების შესახებ. საიმპერიო კრება შემდეგში პარლამენტად გადაკეთდება. საიმპერიო კრებაში შედიან: მეფის საგვარეულოს წევრები, გენერლები, უმაღლეს წოდების წარმომადგენელნი, მეცნიერნი, მთავრობის საბჭოების წევრები, მონგოლიის და ტიბეტის პრინცები.

**ლონდონი**. რეიტერის სააგენტოს პეკინიდან ატყობინებენ: პროვინციის საბჭოები წინადადებას იძლევიან მთავრობას წინაალმდეგობა გაუწიოთ, რომ ახალი გადასახადები აღარ აკრიფოს და საზღვარ-გარედ სესხი არ აიღოს. ჩინეთის პრესსა მხარს უჭერს ამ მოძრაობას.

### ჰაერში ფრენა.

**რომი**. გუშინ, 19 ოქტომბერს, ბრაჩიანოდან ნეაპოლისკენ გაფრინდა სამხედრო დირიჟაბლი. ამავე დღეს ნაშუადღევის $1^1/_2$ საათზე დირიჟაბლი ნეაპოლში მიფრინდა. ნეაპოლიდან დირიჟაბლი რომისკენ გაფრინდა და საღამოს 10 საათზე რომში მიფრინდა. დირიჟაბლი ნაშუაღამევის პირველ საათზე ბრაჩიანოში უნდა გაფრენილიყო. დირიჟაბლის გაფრენის დროს ერთი უბედურება დატრიალდა: დირიჟაბლის ბულლი მოედო ლეიტენანტ როზენტის, მოტორი უკვე გაშვებული იყო, ამიტომ როზენტი ისე დაშავდა, რომ მალე გარდაიცვალა. ბულლი თუმცა ცოტად გაფუჭდა, მაგრამ დირიჟაბლი მაინც გაფრინდა.

### რუსეთი

**სარატოვი**. ირინოვკაში გადაიწვა 29 სახლი. დაიწვა 11,000 ფუთი პური.

**პეტერბურგი**. მინისტრთა საბჭო ამ დღეებში განიხილავს იუსტიციის მინისტრის კანონ-პროექტს კატორგის რეორგანიზაციის შესახებ. ამ პროექტით უნდა გაუქმდეს აწ არსებული საკატორგო დაწესებულებანი, კატორგელებმა თავიანთი სასჯელი განსაკუთრებულ სატუსაღოებში უნდა მოიხადონ. ამას გარდა კატორგელებს სატუსაღოებიდან გამოშვების შემდეგ ყველგან ექნებათ ცხოვრების ნება, მხოლოდ ზოგიერთი შევიწროებით, კატორგელის ცოლშვილს ან ნათესავს უფლება აღარ ექნება თავის ხარჯით თან წაჰყვეს კატორგელს.

ამ კანონ-პროექტს გარდა მინისტრთა საბჭო განიხილავს ახალ საუნივერსიტეტო წესდებას.

### ხ ო ლ ე რ ა

**პეტერბურგი**. დღე-ღამეში ავად გახდა 18, გარდაიცვალა 4, ავად არის 11 კაცი.

**პავლოგრადი**. ავად გახდა 2, გარდაიცვალა 1 კაცი.

**გროდნო**. ავად გახდა 1, გარდაიცვალა 2 კაცი; მაზრაში ავად გახდა 4, გარდაიცვალა 2 კაცი.

# ახალი ამბავი

### ტ ფ ი ლ ი ს ი

✦ **ტრამვაის საქმეები**. როგორც ვწერდით, ტფ. ტრამვაის დირექციამ ახალი წესები გამოსცა. რადგან მოსამსახურენი არ დაემორჩილნენ ამ წესებს, 18 ოქტომბერს ტფ. პოლიცმეისტერმა ტრამვაის პარკში გამოუცხადა მოსამსახურეებს: ძველი წესები გაუქმებულად ითვლება, მათ ნაცვლად შემოღებულ იქნება ახალი წესები, რომელნიც დაამტკიცა დირექციამ და მოიწონა ადგილობრივმა უმაღლესმა ადმინისტრაციამ. ვისაც არა სურს დაემორჩილოს ამ ახალ წესებს, მან უნდა ანგარიშები გაასწოროს, სამსახურიდან გავიდეს და თუ სურს მხოლოდ ამას შეუძლიან მიმართოს სასამართლოს და ამ წესებით ეძიოს თავის უფლებების აღდგენა.

✦ **სახალხო უნივერსიტეტი**. 19 ოქტომბერს მოხდა სხდომა სახალხო უნივერსიტეტის გამგეობისა. სხდომა გამგეობამ უმთავრესად მოანდომა მოხსენებას სახალხო წარმოდგენების მმართველ სექციის შესახებ. ახლად დაარსებულ სახალხო წარმოდგენების წრის ამბავი მკითხველებს უკვე გავაცანით. უნივერსიტეტის გამგეობამ ამას წინად კომისია აირჩია სექციის საქმის ვითარების გამოსარკვევად. გამგეობამ კომისიის მოხსენება ამ სხდომაზედ განიხილა. კომისიას არ მოსწონებია ცალკე წრის დაარსება. იგი ანტიდემოკრატიულიაო. მოხსენებამ ხანგრძლივი კამათი გამოიწვია. გამგეობის უმეტესობა წინააღმდეგი იყო სექციის გაუქმებისა და ამტკიცებდა, რომ სახალხო წარმოდგენების სექცია უნდა შეივსოს და საზოგადოების სახელით განაგრძოს მოქმედებაო. გამგეობამ მიიღო უმრავლესობის აზრი და დაადგინა, შეივსოს საუნივერსიტეტო საზოგადოების ქართულ სახალხო წარმოდგენების სექცია და დაევალოს მას სახალხო წარმოდგენების მართვა ზუბალაშვილის სახალხო სახლში. კვირაში ერთი დღე, რომელიც ქართულ დრამატიულ საზოგადოებისაგან დათმობილი აქვს სახალხო უნივერსიტეტს გადაეცეს სექციას, ამასთან არჩეულ იქნა განსაკუთრებული კომისია, რომელმაც უნდა იშუამდგომლოს ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობასთან, რომ ეს დღე არავის არ დაუთმოს, თუ არ უნივერსიტეტის წარმოდგენების სექციას. ამ რიგად, გაჩნდა ორი ჯგუფი სახალხო წარმოდგენების გასამართავად—ერთი ახლად დაარსებული წრე, მეორე უნივერსიტეტის სექცია, რამდენადაც ჩვენ ვიცით, სახალხო სახლის სცენის მოყვარენი ყველანი წრეში შევიდნენ და ეხლა აღარ ვიცით, უნივერსიტეტის გამგეობა ვის მოიწვევს სექციაში.

✦ **ტფ ქალაქის საბჭო**. 19 ოქტომბერს, ტფ. ქალაქის საბჭომ 8 საქმე გაარჩია. თავმჯდომარემ ხატისოვმა აცნობა საბჭოს არზრუმში ხმოსნად ნამყოფის ე. თოფჩიანის მოკვლის ამბავი და ასწერა მისი მოღვაწეობა. თოფჩიანი ძლიერი ძალა იყო სომხებისთვისაო. უბრალო ქვის მთლელის შვილმა მიიღო უმაღლესი განათლება. პირველად იგი ქალაქ გუმბრში ოღვაწეობდა, შემდეგ გადმოვიდა ტფილისში და აქ 7—8 წლის განმავლობაში ნაწილობას იღებდა კულტურულ დაწესებულებებში; რედაქტორობდა გაზეთ „არშალუისს“, მონაწილეობას იღებდა სხვა პროგრესიულ გამოცემებში, კარგა ხანს მზრუნველად იყო ნერსესიან სემინარიისა, ხმოსნობდა და სხვ. შარშან იძულებული გახდა ოსმალეთში გადასულიყოო. თავმჯდომარეს წინადადებით, საბჭომ ფეხზე ადგომით პატივი სცა განსვენებულის ხსოვნას. შემდეგ საბჭომ განიხილა ხმოსან მინეევის წინადადება იმის შესახებ, რომ მეეტლეებს წელიწადში ორჯელ გადაახდევინონ გადასახადი, რადგან ერთ დროულად, ნომრების ღების დროს იანვარში, ფულის გაღება უჭირთო. საბჭომ უარჰყო მინეევის შუამდგომლობა და დასტოვა ძველი წესი გადასახადების მოკრებისა. ამავე სხდომაზე საბჭომ გააუქმა თავისი დადგენილება ხორცის ნიხრის შესახებ და დასტოვა წინანდელი ნიხრი (ძროხის ხორცი 10 კაპ., ცხვრისა 12 კაპ.) საბჭომ უცვლელად დაამტკიცა გამგეობის მიერ შემუშავებული დამატებითი ხარჯთაღრიცხვა. სულ დამატებით ქალაქს წელს სჭირდება 54,038 მან. მოხსენება გამგეობისა საყასპოსათვის სხვა მოხერხებულ ადგილის გამორჩევის შესახებ საბჭომ გადასცა სატეხნიკო კომისიას.

✦ **ხარფუხის აფთიაქი**. გუბერნატორმა მისწერა გუშინ ტფ. ქალაქის გამგეობას, რომ „ტიფ. ლისტ.“-ში დაბეჭდილია ამბავი ქალაქის ხარფუხის სამკურნალოს აფთიაქიდან წამლების მოპარვის შესახებ. შემატყობინეთ დაწვრილებით, რაშია საქმე. როგორც „ლისტოკ“-ში იყო აღნიშნული, ხარფუხის სამკურნალოს აფთიაქის გამგე-ფარმაცევტს ვითომ წამლები მოუპარავს და ერთი თათრისთვის მიუყიდნია. ამ ქურდობას შესწრებია პროვიზორი ჯაჭვაძე. საქმის გამოსაძიებლად ქალაქს დაუნიშნავს კამისია, რომელსაც გადაუწყვეტია, ფარმაცევტმა სულაბერიძემ საჩივარი აღსძრას ორი კვირის განმავლობაში პროვიზორ ჯაჭვაძის წინააღმდეგ. კომისიასვე დაუდგენია, თათბირი იმის შესახებ; სულაბერიძე და ჯაჭვაძე დასტოონ თუ არა სამსახურში, იქონიოს მაშინ, როდესაც სასამართლო ამ საქმის შესახებ განაჩენს გამოაცხადებს. ქალაქის გამგეობას ეს განაჩენი დაუმტკიცებია.

✦ **ნოვოროსისკის საქმე**. როგორც სააგენტოს დეპეშა იუწყება, მთავარმა სამხედრო სასამართლომ განიხილა ეგრედ წოდებულ „ნოვოროსიისკის რესპუბლიკის“ საქმე. ამ საქმისთვის სამართალში მიცემული იყო 25 კაცი. თავდაპირველად ეს საქმე განიხილა ნოვოროსიისკის სამხედრო სასამართლომ, მაგრამ პროკურორმა საქმე განასაჩივრა. მთავარ სამხედრო სასამართლოს გაუუქმებია ნოვოროსიისკის სამხედრო სასამართლოს განაჩენი და საქმე ხელ-ახლა დაუნიშნავს გასარჩევად. ამ რიგად, ეს საქმე მესამედ გაირჩევა.

● 19 ოქტომბერს, ღამის 12 საათზე, ტფ. მოქალაქე ნიკოლოზ კალმიკოვი კახეთის მოედანზე თავს-დასხმია მოქალაქეს ვასილ მაუჯაშვილს და ზურგში 5-გან დაუჭრია ბებუთით. კალმიკოვი მიმალულა, მაგრამ იგი დააპატიმრეს. დაჭრილი მიხეილის საავადმყოფოში გაგზავნეს.

● ნ. ე. ზუბალაშვილის სახელობის ღარიბთა თავშესაფარში განთავისუფლდა ორი ვაკანსია ერთი მართმადიდებელისთვის, მეორე კათოლიკისათვის. არჩევანი დანიშნულია 25 ოქტომბრისათვის თავშესაფარის გამგე კამისიის სხდომაზე.

# მოწერილი ამბავი

**ს. რუისი** (გორის მაზრა). სწორედ გასაკვირველია, ღმერთმანი, რითი და როგორა სცხოვრობს ჩვენებური გლეხკაცი. „სცხოვრობს“ კი არა, რაში უდგია სული, [illegible] ცხოვრება დიდი ხანია წირ-ვარამად აქვს გადაქცეული. ჯერ კაი მოსავლის დროს [illegible] ური მოსავალი და ეხლა კიდევ მოუსავლობამ სულ მოუღო ბოლო გლეხ-კაცის მდგომარეობას. წლეულ პურის და სიმინდის მოსავალი იმდენად მცირე იყო გვალვების გამო, რომ თესლი ვერ მიიღო პატრონმა და მთელი წლის შრომამ მუქთად ჩაუარა. ღვინის მოსავალი ჩვენში ხომ სად პარაკოდაც არა ღირს. რომ შეხედო ჩვენებურ გლეხკაცს და იმის ოჯახობას, სწორედ, თუ მაგარი გული არა გაქვს, ტირილი მოგივა: თვითონ შინელის ძონძებში გახვეული, ფეხ-შიშველი, ფერ-წასული, ნახევრად ავადმყოფი, ცოლიც ჩითის კაბაში, ფეხ-შიშველი და ბავშვებს ხომ ძონძებში ძლივს იცნობთ, რომ ადამიანები არიან. ყველას ყვითელი, ავადმყოფი ფერი აძევს. ყველა ნახევარზე მშიერი! ნუ იფიქრებ, მკითხველო, რომ აქ გადამეტებული იყოს რამე, პირიქით, მე სად შემიძლიან ამ პატარა წერილში ჩვენებურ გლეხ-კაცის მდგომარეობა მოგახსენო.

ჩვენში ღონიერ გლეხად ის ითვლება, ვისაც თავის ოჯახისთვის წლის სარჩო მოჰყავს; გასასაყიდი ხომ ჩვენებურ გლეხს თავის დღეში არა ჰქონია. სახნავი მიწის სიმცირის გამო ყოველ წელს მთელი მინდორი იხვნის და ისე არის მიწა ძალა-გამოლეული, რომ მოსავალი აღარ მოდის. ათას ნაირი სახაზინო და სახელმწიფო გადასახადი ჩვენებურ გლეხს უკიდურეს სასოწარკვეთილებაში აგდებს. წელს თავის სარჩო არა აქვს და საქონლის შენახვაც სადარდებლად აქვს გახდარი—არც ბზე, არც თივა, არც ახლო ტყე, რომ ნეკერი და ფოთოლი მაინც აჭამოს, ან გაჰყიდოს საქონელი, რიღათი მოხნას-მოთესოს და ან ვინ არის ეხლა გამხდარი მშიერ საქონლის მყიდველი? მთელი სოფელი რომ დაიაროთ ტყის შეშას ვერა ნახავთ. წინა წლებში ციციანთ ტყეს იღებდა ჩვენი სოფელი ხელ-მისაწვდენ ფასებში და ეხლა ციციანთაც აღარ მისცეს ტყე იმ ფასებში. ერთის სიტყვით, ვაი-ვაგლახ-

# სასჯელი წინა ღამეს

(გადმოკეთებული პოლ. მარგერიტიდან)

— სიმონ! ოთხ საათზე გამაღვიძე. ფხიზლად იყავ, არ დამაგვიანო.

როგორღაც არაჩვეულებრივის აღელვებით უბრძანა დანიილ პეტროვიჩმა კამერდინერს და შუბლშეკრული გაემართა საწოლ ოთახისაკენ.

— მესმის, ბატონო,—ისე უცებ მიუგო ახალგაზდამ, თითქოს წინდაწინ იცოდა, რასაც უბრძანებდნენ, და უსიამოვნო ჩრდილმა გადაურბინა პირისახეზე. მიჰხვდა, რაშიაც იყო საქმე. ხვალ დილას ეგოროვი, როგორც კაცის მკვლელი, უნდა დაეხვრიტათ, და დანიილ პეტროვიჩი, როგორც სასამართლოს ბრალმდებელი, ვალდებული იყო დასწრებოდა განაჩენის აღსრულებას:

— რას მიირთმევთ წასვლისას, ჩაის თუ რამე საუზმეს?

„რა კარგი იქნება, ამ საღამოს ხოხობი რომ მოვკალი, იმას შემიწვამდეს. მშვენიერი რამ არის დილა ადრიან“,—გაიფიქრა დანიილ პეტროვიჩმა, მაგრამ რაღაცა მიზეზით ვერ გაებედნა ამ სურვილის გამომჟღავნება, ენა უდგებოდა. ვილაცისა რცხვენოდა და თითქოს თავისთვის მორიდებულად წაილაპარაკა:

— ერთი ჭიქა ჩაი მომიმზადეთ.

— ბატონი ბრძანდებით,—უპასუხა სიმონმა და საჩქაროდ ჩასწია ელექტრონის ლამპა ჩასაქრობად, რადგან ჰალარა ბრალმდებელმა უკვე საწოლ ოთახის კარები გაიხურა.

დანიილ პეტროვიჩი დაღონებული ჩაწვა რბილ, სურნელოვან ლოგინში. დაამთქნარა, გაიზმორა, გადაბრუნდა და თვალები უნდა დაეხუჭა, როცა ისევ ის ჩვეულებრივი, მაგრამ ამ შემთხვევაში კი უსიამოვნო სურათი წარმოუდგა თვალწინ. საპატიმროს ზედამხედველი, მღვდელი, დამწკრივებული სალდათები, ჯალა... არა, ესე იგი აღმასრულებელი კანონის ბრძანებისა. აი ეგოროვი კიდევაც გამოაღვიძეს. გამოუცხადეს. ის კანკალით იცვამს. მღვდელი ჩქარა ათქმევინებს აღსარებას. აი, კიდევაც მოისმა ჩვეულებრივი დარიგება, რომ დამნაშავე სიკვდილის წინ მაინც გამოტყდეს და მოინანიოს ცოდვები.

„ჰა, ჰა, ჰა!—ძალად გაიცინა დანიილ პეტროვიჩმა და თვითონვე შეშინდა, რადგან თავისი ხმა ვერ იცნო:—რა იმედი, რომ ეგოროვმა აღიაროს თავისი დანაშაული... აბა სად და როდის გამოტყდარა მაგნაირი დამნაშავე! სიკვდილის პირზედაც ხატით და ჯვარით დაგვიწყებს რწმუნებას, რომ ის კრავივით უმანკოა... მოსმენაც მეტია ამნაირ სიცრუისა... მაგრამ დროა დავიძინო... მშვიდობით, ეგოროვო, სანამ მოულოდნელად გაგაღვიძებდენ!..“

ჟინიანის ნიშნგებით გაიფიქრა ბრალმდებელმა უკანასკნელი სიტყვები, ყურებამდის გაეხვია საბანში და თვალები დახუჭა, რომ დაეძინა. მაგრამ მშვიდობიანი ძილი თვითონ გაურბოდა წარჩინებულ გვამს, რომლის წინაშეც ძრთოდნენ დამნაშავენი თუ შემთხვევით ბრალდებულნი. აღელვებული ტვინი ველარ ისვენებდა და მედგრად ებრძოდა ეჭვით მოშხამულ სინიდისს.

„არ არის ეგოროვი მკვლელი. ის თოფის ხმაზე და მოკლულის ყვირილზე მოვარდა მკვლელობის ადგილას. გასროლილი თოფი კი, რომელიც დაჭერის დროს უპოვნეს, წინად ხოხობზე გაეცალა“...

„ჰო, მეც მიყვარს ნადირობა,—დაეთანხმა დანიილ პეტროვიჩი უცნობ ხმას და გულზე მოეშვა, სანამ მოაგონდებოდა, რომ ეგოროვის ბედი უკვე გადაწყდა და ახლა არავის შეუძლიან სიცოცხლე აჩუქოს:—მაგრამ არა!.. მკვლელია... დამნაშავეა. . სწორედ იმისი მოკლულია და აკი საქვეყნოდ დავამტკიცე, რომ ნამდვილად ეგოროვია, მკვლელი...

და ბრალმდებელს ნაწყვეტ-ნაწყვეტად თითქოს ესმოდა გუშინწინდელი თავისი სიტყვა. მერე რა ღრმა შთაბეჭდილება მოახდინეს მსმენელებზე! როგორ მომხიბლავად დახუჭა თვალები, რა მოწიწებით თავი მოიხარა იმ სიკვდილის აჩრდილის წინაშე, რომელსაც ბრალდებულის თავზე იწვევდა მოსამართლეთა ხელით! მხოლოდ მას შეეძლო გადმოეშალა ეგოროვის სულის ვითარება, მისი ბუნებრივი მიდრეკილებანი, მალული ხასიათი და ისეთი წვრილმანი მკვლელობისა, რომელიც არც ოქმში იყო აღნიშნული და არც მოწმეთა ჩვენებაში. სასამართლოს წევრნი თვალცრემლიანნი ულოცავდნენ ბრწყინვალე გამარჯვებას. ბარემაც შურდათ, მაგრამ რას გააწყობდნენ. დამსწრე საზოგადოებას თითქოს დაავიწყდა, რომ ეს მშვენიერი სიტყვა ბრალმდებელს, მთავრობის მომხრეს ეკუთვნოდა და ტაშითაც-კი დააჯილდოვა ორატორი. უეჭველია, რომ დღეს თუ ხვალ წარმატებას მისცემდნენ და უფრო დიდ თანამდებობაზე გადაიყვანდნენ. ის კი როგორ უბედურია და რანაირად იტანჯება გულში! ეჭვი, ბასრი და შხამიანი ეჭვი მთელ სიცოცხლეში პირველად შეეპარა სინიდისში და მწვავედ მოშხამა მთელი მისი არსება. გონება და იდუმალი ხმა სამკვდრო-სასიცოცხლოდ განაგრძობდნენ ბრძოლას.

„არ არის ეგოროვი მკვლელი... მკვლელია ეგოროვი... თუ დამნაშავე არ არის, რად ეჭირა თავი ასე დინჯად და დამშვიდებით?!. ჰო, მკვლელია, თორემ იტირებდა, ხვეწნას დაგვიწყებდა... მაგრამ შეიძლება იმიტომ იყო დამშვიდებული რომ, როგორც ალალ-მართალი, არ მოელოდა სასჯელს. აკი გამოცებისგან თვალები გადმოჰყარა, როცა განაჩენი გამოუცხადეს... ოჰ, რა საძაგელი მდგომარეობაა, როცა შეგიძლიან სიცოცხლე წაართვა ან აჩუქო ადამიანს და მაინც ვალდებული ხარ ამტყუნო, რომ უმაღლესი სასჯელი მიახდევინო... მაგრამ, დეე... ეგოროვის ბედის ჩარხს ახლა ვერავინ მოატრიალებს. არც იმდენად ძნელია სიკვდილი... რა დამრჩენია, მაგალითად, მე ამ ქვეყნად? რომ მეწვიოს სიკვდილი, ისე გულგრილად დაუხვდები, როგორც თოფის ლულის წინ აფრენილ ხოხობს... და უფრო გულმაგრად, ვიდრე ხოხობს... ფრინველისა მეშინიან, რომ არ გამექცეს... სიკვდილის წინაშე კი წარბსაც არ შევძრავდი“...

ნაწყვეტ-ნაწყვეტად ფიქრობდა ბრალმდებელი ძილის ბურანში.

ბუხარზე საათმა სამჯერ დარეკა. კრაოტმა დაიჭრიჭინა. მოისმა მძიმე კვნესა და შეშინებული ამოძახილი. საღამურ მაგიდაზე რაღაცა გაჩუჩუნდა, ილევა წუმწუმამ. აკანკალებული ხელი ამაოდ სცდილობდა სანთლის საგულესთვის მოეხვედრებინა წუმწუმის ალი. ძლივს მიაგნო, აანთო. მკვდარივით ფერმიხდილი დანიილ პეტროვიჩი მოგრეხილ პირისახით, სასოწარკვეთილად თვალებ დაჭყეტილი, ულონოდ მოკეცილიყო საწოლზედ და საცოდავად გმინავდა.

— ვკვდები!.. ვკვდები!.. ოჰ, ღმერთო!.. როგორ ვიტანჯები!..

ორივე ხელით მკერდს მობღაუჯებოდა. გულის ტკივილმა გამოაღვიძა. წინად თითქმის არც კი აქცევდა ყურადღებას ამ სატკივარს. ერთი, რომ მუდამ დღისით ასტკიოდა ხოლმე და იმავე წუთში ექიმები ეხლდებოდნენ. მეორე და—თავის დღეში არ ასტკივნია ასე მწვავედ. პირისახე უცებ გამოსცვლოდა. წითური მსუქანი ლოყები სულ რამდენისამე წუთში მიწის ფერი გახდომოდა და ჩაცვივნოდა. დანიილ პეტროვიჩმა უცებ იგრძნო და უმალვე ღრმად დარწმუნდა, რომ კვდება და რამდენიმე წუთის შემდეგ სამუდამოდ მოშორდება ამ ტურფა ქვეყანას. საფეთქლებში რაღაცა მძიმე ჩაქუჩივით უცემდა. სული ეხუთებოდი. უნდოდა წამომხტარიყო, მაგრამ მარცხენა ხელსა და ფეხს ვეღარ ანძრევდა. უნდოდა ეყვირნა და მხოლოდ ლუღლუღებდა. გონება უჭრიდა და თვალებში კი ზღაპრული სურათები ელანდებოდა.

და მოულოდნელად მოაგონდა ეგოროვი. რა უბედურია ერთიც და მეორეც! ერთი უპატრონოდ კვდება მდიდრულად მორთულ სახლში. აბა რად უნდა სიმდიდრე, რომელიც ვერ შველის და სიცოცხლეს ვერ დაუბრუნებს?! მეორე კი ამ წუთში შეიძლება მშიერ-მწყურვალე და მოკრუნჩხული ზის ბნელ, ნოტიო საკანში და საკუთარ სუნთქვით ითბობს სხეულს, სინათლის ნახვა ენატრება. შეიძლება გრძნობს კიდევაც ნაძალადევ აღსასრულის მოახლოვებას და სასოწარკვეთილად იკლაკნება სიკვდილის აჩრდილის წინაშე. იქნება ტირის, საყვარელ არსებას იგონებს, სიცოცხლესთან მოშორება უმძიმს.

— ოჰ, რა ძნელია სიკვდილი!—უძლურად დაიგმინა ბრალდებელმა და უნდოდა ისევ მკერდს მობღაუჯებოდა, სადაც თითქოს უთვალავი ნემსი ჩხვლეტდა, მაგრამ მარჯვენა ხელი ღა მიაშველა. მარცხენა მჩვარივით ეგდო. და ეს დანიილ პეტროვიჩს არ გაუკვირდა. ის აღარა ფიქრობდა სხეულზე, რომელიც საბოლოოდ დაღუპულად მიაჩნდა. სულის შერჩენას-ღა ნატრობდა:—ვსუნთქავ, ცოცხალი ვარ, ვარსებობ და უცებ უნდა გავქრე, როგორც უკანასკნელი მწერი... არარად უნდა ვიქცე... დაავიწყდებათ ჩემი მჭერმეტყველება, რითაც აღტაცებაში მოდიოდნენ... მაღალი თანამდებობაც, რომელიც მეჭირა... დიდებული მომავალიც, რომელიც წინ მედო... და ვერავინ, ვერაფერი ვერ მიშველის, ვერ დამიბრუნებს სუნთქვას... რა ადვილი იყო, როცა სხვებზე ვამბობდი: დაისაჯოს, მოესპოს სიცოცხლე, სიკვდილის ღირსია-მეთქი... და რა ძნელი ყოფილა!.. ოი, ოი, ვკვდები!

და ჭირის ოფლმა გადაასხა. სუნთქვას უხშირა. აზრი ერეოდა, უწყდებოდა, უთავბოლოდ ერთი საგნიდან მეორეზე გადადიოდა.

„სიმონს დავუძახებ... მთელი ქალაქის ექიმები მოიწვიოს... ყველაფერს მივცემ... მათხოვრად ვივლი... ოღონდ სიცოცხლე მაჩუქონ...“

გაუელვა თავში ავადმყოფს და რის ყოფით ასწია დამბლას გადარჩენილი მარჯვენა ხელი ელექტრონის ფოლაქისკენ. თრთოლვით ეძებს და უცებ ვითომ რაღაცა უზარმაზარი დაეცა კეფაზე. იფეთქა მრავალფეროვან ცეცხლის ვეებერთელა ალმა და ქვეყნიერობას მოედო. წინწკლებად იქცა, უცებ გაჰქრა და წყვდიადმა მოიცვა ყველაფერი. ყურებში უთვალავი ზარი ურეკდა სხვა და სხვა ხმაზე. და თან და თან ყველაფერი მიწყნარდა. მხოლოდ გამოურკვეველი ზუზუნი და უკუნეთი სიბნელე უფრთხობდა მილეულ გონებას. უნდოდა ამოესუნთქნა, მაგრამ სუნთქვის ნაცვლად გულშემზარავი ხრიალი ამოუშვა.

— სიმონ, მიშველე!—ვითომ დაიყვირა ბრალმდებელმა, ნამდვილად კი მხოლოდ რაღაცა დაილუღლუღა, რადგან პირში ენის ნაცვლად ხორცის უძრავი და უხმო ნაჭერი ედო.

დანიილ პეტროვიჩმა უძლურად ჩაჰქინდრა თავი, ვერ შეიმაგრა, წატორტმანდა და უსულო გადავარდა ძვირფას ტყავებით დაფენილ იატაკზე.

ეგოროვს ამ წუთებში უხრხულად, მაგრამ მძიმე ჰაერისგან ღონემიხდილს უგრძნობლად ეძინა საპატიმროს ცივ იატაკზე. ძილში პატარა ვაჟიშვილი ეზმანებოდა. წვერებზე უცაცუნებდა ცელქ პაწია ფუნჩულა ხელებს და ბედნიერი მამა ნეტარებით ილიმებოდა. რა იცოდა უდანაშაულო ბედშავმა, რომ ძილშიაც კი უკანასკნელად ეთამაშებოდა სათაყვანებელ პირმშოს. კიდეც სწამდა, რომ ქვეყანაზე სიმართლე უძლეველია და მას, ეგოროვს, ვერავინ ახლებს ხელს.

და ამ დროს საპატიმროს ქვემოდ ეზოში, ჩუხჩუხა რუს პირას უკვე ამართული იყო მუხის ბოძი, რომელზედაც ერთი საათის შემდეგ ეგოროვი უნდა გაეკრათ დასახვრეტად.

ახელი.

ხით ცხოვრებაა ჩვენი სოფლის გლეხკაცის ცხოვრება. რასაკვირველია, ამ უმადურ უოფის შედეგი არის უთვალავი ავადმყოფობა და ხშირი სიკვდილი.

ერთ პატარა ჯგუფს, ბ-ნი გულისაშვილის მეთაურობით, განუზრახავს საამხანაგო ბეღლის დაარსება, საიდანაც წევრებს შეეძლებათ სესხად მოსავლამდის პურის წაღება, მცირე სარგებლით. ღმერთმა ინებოს, რომ განახორციელონ ეს განზრახვა და მით საშუალება მისცენ ღარიბ კაცს, ცოდ-შვილი გამოკვებოს მოსავლამდის.

1882 წლიდან არსებობს ჩვენში ერთკლასიანი სასწავლებელი ვაჟების და ქალების განყოფილებით, მაგრამ ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას: დიდძალი ბავშვი რჩება სასწავლებლის გარედ უადგილობისა გამო. დროც არის და კარგიც იქნება სოფლის კეთილმოწყობილებამ აძრას საკითხი ამ სასწავლებლის ორ-კლასიანად გადაკეთებაზე, სამეურნეო განყოფილებით.

შარშან დაარსდა ჩვენში სამკითხველო, მაგრამ იმდენად ღარიბია წევრებით და ამასთანა ნივთიერადაც, რომ ორი სამი გაზეთის გამოწერით თავდება მისი მოქმედება. საწევრო გადასახადი არის სულ 50 კაპ., მაგრამ მეტის-მეტ სიღარიბისა გამო, ჩემი აზრით, ბევრს არა აქვს საშუალება მიიღოს მონაწილეობა.

საჭიროება მოითხოვს, რომ ჩვენ სოფელში (700 კომლია), იყოს თუ ექიმი არა, ერთი ფერშალი მაინც საჭირო წამლებით. იქნება მთავრობას ჩვენთვისაც იკამეტნა და ერთი ს ხელმწიფო ფერშლის პუნქტი გაეხსნა, რომ ჩვენი სოფლის გულ-შემატკივართ თავს ედგათ და მიეშველნათ თხოვნით, სადაც ჯერ არს, მით უმეტეს, რომ წელს ყველგან აარსებენ ახალ ქსენონებს და პუნქტებს.

ეჰ, სჯობს წერტილი დაუსვა ამ ჩემ წერილს, თორემ, ვინ იცის, რამდენი რამე კიდევ არის საჭირო ჩვენი სოფლისათვის, მაგრამ სიღარიბე ნატვრის ნებასაც კი არ გვაძლევს. **სანდრო.**

## ხიროგუმი იტო

გაზეთები სავსეა წერილებით იტოს შესახებ, რომელიც ამ რამდენიმე დღის წინად კორეელმა მოჰკლა ხარბინში.

იტო დაიბადა 1841 წელს, კუნძულ ნიპონის სამხრეთ ნაწილში, ერთ პატარა სოფელში. ჯერ ისევ ყმაწვილობაში იტო დაუახლოვდა თავისავე თანამემამულე იოშიდას, რომელიც პირველი ქადაგებდა იაპონიაში ევროპის კულტურის გადანერგვას და სამშობლოში ევროპის წესწყობილების შემოღებას. იაპონია მაშინ კარ-ჩაკეტილი აზიური სახელმწიფო იყო და სიკვდილითა სჯიდნენ ყველას, ვინც კი გაჰბედავდა და სამშობლოდან წავიდოდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, იოშიდა 1654 წელს მაინც გაიპარა საზღვარგარედ. გზაზე დაიჭირეს, უკან დააბრუნეს, ხუთი წელიწადი საპატიმროში გამოამწყვდიეს და ბოლოს თავი მოჰკვეთეს.

ასე სასტიკი იყო იაპონიის კანონი, ასეთი სიბნელე იყო, რომ უბრალო მოგზაურობაც კი ევროპაში აკრძალული იყო. მაგრამ იტომ ყურადღება არ მიაქცია ამ სიბნელეს, და, სისასტიკეს და თავის მასწავლებლის ასეთ მწარე ბედს და თავის ამხანაგ ინუესთან ერთად მოახერხა გაპარვა ჩინეთში, ქალაქ შანჰაიში. აქ ისინი მატროსებად ჩაეწერნენ ერთ ინგლისურ გემზე, ევროპისაკენ გაემგზავრენ და ლონდონში დაბინავდნენ. იტო მხნედ შეუდგა ევროპის ცივილიზაციის შეთვისებას. იმან გადასწყვიტა, როგორც უნდა დასჯდომოდა, ცდილიყო იაპონია გარდაექმნა, ნაცვლად ბარბაროსობისა, შემოეღო ევროპის კულტურა და, მართვა გამგეობის საქმეც ევროპის დაგვარად მოეწყო. ამ გადაწყვეტილებას მტკიცედ ადგა იტო და მთელს თავის სიცოცხლეში ამის განხორციელებასა ცდილობდა. თითონ იტომ მარდად შეითვისა ევროპის კულტურა, არა კმაყოფილდებოდა ცივილიზაციის ზედაპირით, ღრმად შეჰხედა საქმეს, შეისწავლა პოლიტიკური დაწესებულებათა მნიშვნელობა და ევროპის მოქალაქეობრივ ცხოვრების ვითარება.

1864 წელს მოულოდნელად სამშობლოში დაიბარეს. ერთი პატარა პროვინციის ფეოდალი (ადგილობრივი მთავარი) წინააღუდგა ევროპის სახელმწიფოებს. ინგლისი, საფრანგეთი, ჰოლანდია და ამერიკა იძულებული შეიქმნენ სამხედრო გემები გაეგზავნიათ იაპონიის ნავთსადგურებში. იტო და ინუე შეეცადნენ შუამავლობა გაეწიათ ფეოდალსა და გემების უფროსებს შორის, მაგრამ მეცადინეობამ მიზანს ვერ მიაღწია. ევროპისა და ამერიკის გემებმა სულ გაანადგურეს ფეოდალის ზარბაზნები და ჯარი. ეს იყო 1864 წელს. ამის შემდეგ იტო და ინუე დარწმუნდნენ, რომ უფრო გაბედულად უნდა ემოქმედნათ. იმათ შორის ცნობილი ფელდმარშალი იამაგატა, მოახდინეს აჯანყება და კიდეც დაამარცხეს თავიანთ კუთხის ფეოდალი. აქედან მეამბოხეებმა სხვა ადგილებში გადაიტანეს მოქმედება. იტოსა და დანარჩენ რევოლიუციონერებს უნდოდათ იაპონიაში სოციალურ-პოლიტიკურ რეფორმები შემოეღოთ.

შემდეგი აჯანყება 1867 წელს მოხდა, მაგრამ იტოს შესამჩნევი მონაწილეობა არ მიუღია. აჯანყებაში უფრო ხანში შესულ იაპონელებს მიაღებინა მონაწილეობა, თითონ კი შეუდგა იაპონიის სოციალურსა და ეკონომიურ აღორძინებას. პირველ ყოვლისა იმან გაილაშქრა ფეოდალიზმის წინააღმდეგ. 1869—1671 წლებში კიდეც მოხდა რეფორმა და ფეოდალიზმი მოისპო 1869 წ. იტომ პირველი რკინის გზა გაიყვანა იაპონიაში ტოკიოსა და იოკაგამას შუა. 1870 წელს გაემგზავრა ამერიკაში, შეისწავლა ფინანსებისა და ფულის საქმე. ერთი წლის შემდეგ დაბრუნდა სამშობლოში და შეუდგა ფინანსების საქმეების მოგვარებას. პირველი ზარაფხანა ოსაკში დაარსა. 1873 წელს იტო კიდევ გაემგზავრა ევროპასა და ამერიკაში. უნდოდა ევროპის სახელმწიფოებისათვის მოესპობინებინა ის პრივილეგიები, რომელიც უცხოელებსა ჰქონდათ მინიჭებული იაპონიაში. სახელმწიფოებმა არ შეიწყნარეს იტოს შუამდგომლობა. იაპონია ბარბაროსი ქვეყანაა და შეუძლებელია სწორუფლებიან სახელმწიფოთა რიცხვში ჩავწეროთო.

ამ გარემოებამ უფრო გაამხნევა იტო. ეხლა უფრო თავდავიწყებით შეუდგა კონსტიტუციის შემოღებას პირველმა ცდამ უნაყოფოდ ჩაიარა. რეაქციონერებმა აჯანყება მოახდინეს, მაგრამ აჯანყება ჩააქრეს. კონტრევოლუციონური მოძრაობა გაძლიერდა. 1878 წ. პროგრესისტების მეთაური, მინისტრი ოკუბა მოჰკლეს. მიკადომ იტო დააყენა სამინისტროს სათავეში. ოთხი წელიწადი იყო სამინისტროს სათავეში და კარგი ნიადაგი მოუმზადა კონსტიტუციას. იტოს მეცადინეობას უნდა მიეწეროს ის გარემოება, რომ მიკადომ 1881 წელს გამოსცა მანიფესტი—1890 წლიდან კონსტიტუცია იქნება შემოღებულიო.

1882 წ. იტომ დაანება თავი სამინისტროს და გაემგზავრა ევროპაში კონსტიტუციონალურ დაწესებულებათა შესასწავლად. იტომ დიდძალი მასალა შეაგროვა ევროპაში, კონსტიტუციონური დაწესებულებანი შეისწავლა, ერთი წლის შემდეგ დაბრუნდა სამშობლოში და ისევ მინისტრის პორტფელი ჩაიბარა. ბევრი საყურადღებო რეფორმა გაატარა ამ დროს ცხოვრებაში: სასამართლოს რეფორმა, ადმინისტრატიული რეფორმა, გამოაცემინა კანონი ქრისტიანების ხელუხლებლობლობაზე და მრავალი სხვა. ამავე დროს იტო ჯარსა და ფლოტზედაც ზრუნავდა. ხმელეთის ჯარში რეორგანიზაცია მოახდინა, მსწრაფლ მსროლელ თოფებით შეაიარაღა, ააგო გემთსაშენებელნი, ასე რომ იაპონია თითონვე შეუდგა გემების აგებას. 1889 წელს 30 იანვარს მიკადომ მოაწერა ხელი იტოს მიერ შედგენილ კონსტიტუციას.

იაპონიის პარლამენტში იტო პრეზიდენტად აირჩიეს, ხოლო ერთი წლის შემდეგ სახელმწიფო ხაბჭოს თავმჯდომარედ დანიშნეს. იტოს მთავარი საზრუნავი ჯარი და ფლოტი იყო და იმდენად კარგად მოაწყო სამხედრო საქმე, რომ ჩინეთთან ომის დროს იაპონიამ ბრწყინვალედ გაიმარჯვა. ბოლოს ევროპის სახელმწიფოებმაც ჩასთვალეს იაპონია სწორ უფლებიან სახელმწიფოდ. ტრაქტატებით შეეკრა იაპონია ინგლისს, საფრანგეთს, რუსეთს, ამერიკის შტატებს და სხვებს, ასე რომ იტომ შეისრულა გულის წადილი. იმის სამშობლოც კულტურულ სახელმწიფოთა გუნდში ჩაერია და საერთო საკაცობრიო ფერხულში ჩაება.

1895 წელს რუსეთმა, საფრანგეთმა და გერმანიამ აშკარად გაილაშქრეს სიმნოსეკის ხელშეკრულების (ეს ხელშეკრულება ჩინეთ-იაპონიის ომის შემდეგ იყო) წინააღმდეგ. ეს სახელმწიფონი წინააღმდეგნი იყვნენ, რომ ჩინეთს ბევრი რამ დაეთმო იაპონიისათვის. ამ ამბავმა ძალიან ააღელვა იაპონელნი. შესაძლებელი იყო ომიც. თუმცა უკანასკნელ ომის დროს იაპონელებმა თავიანთი ცხოველმყოფელობა დაუმტკიცეს ყველას და დიდ სახელმწიფოს სახელიც მოიპოვეს, მაგრამ სამ დიდ სახელმწიფოსთან ომი შეუძლებელი იყო. საჭირო იყო იტოსთანა სახელმწიფო მოღვაწე, დიდი ავტორიტეტი, რომ ეთქვა მთავრობისათვისაც, ჯარისათვისაც და ხალხისათვის, „ომი არ გვიჯობსო“. იტო მართლაც ასე მოიქცა და იაპონიას თავიდან ააცდინა სახელმწიფოების იერიში. მარტო ახლა კი არა, ყოველთვის, როდესაც კი იაპონია რაიმე გასაჭირში იყო, იტო გამოიღებდა ხოლმე თავს და კიდეც სასურველად აგვირგვინებდა საქმეს.

იტო რუსეთშიც იყო. პეტერბურგში ყოფნის დროს იტო სცდილობდა რუსეთ-იაპონიის კონფლიქტი მშვიდობიანად დაებოლავებინა. თხოულობდა კორეა იაპონიის გავლენის ქვეშ ყოფილიყო, ხოლო მანჯურია რუსეთისა. მაგრამ პეტერბურგში რას დაუჯერებდნენ იტოს, როდესაც მთელი მანჯურიის დაპყრობასა სცდილობდნენ და კორეიაში წასვლასაც აპირებდნენ. იტომ მიატოვა რუსეთი და ინგლისში წავიდა. ომის მოლოდინში ის სცდილობდა ინგლისელების თანაგრძნობა ეუზრუნველ ეყო. მოსალოდნელი იყო, რომ საფრანგეთი და გერმანია რუსეთთან ერთად იაპონიის წინააღმდეგ იქნებოდნენ. აი იტომაც მოახერხა ინგლისთან კავშირის შეკვრა.

დიდხანს ღვაწობდა იტო იაპონიის საბედნიეროდ. 1904 წელს ინგლისში და ამერიკაში იტოს დაუგვირგვინებელ იაპონიის იმპერატორადა სთვლიდნენ. სიცოცხლეშივე უწოდეს იაპონიის ბისმარკი. მაგრამ ეს სახელი სავსებით ვერ ახასიათებს იტოს. ბისმარკმა პრუსია აამაღლა პირველ ხარისხოვან სახელმწიფომდე, შეჰქმნა გერმანიის სახელმწიფოთა კავშირი, ქვეყანა ეკონომიურ წარმატების გზაზე დააყენა. იტომ-კი ბარბაროსული იაპონია პირველ ხარისხოვან სახელმწიფოდ აქცია შორეულ აღმოსავლეთში, ყოველმხრივ დაქვეითებული ქვეყანა განახლების გზაზე დააყენა, ეკონომიურ აღორძინებასთან ერთად კულტურულ აღორძინებასაც მკვიდრი საძირკველი ჩაუყარა. თვითნებობისა და მტარვალობის წინ, იტომ უფლებრივი წესწყობილება და კონსტიტუცია შემოიღო.

იტოს მოკვლის მიზეზი ის პოლიტიკა იყო, რომელიც იაპონიამ კორეიაში გაამატონა. შინ, ადგილ-მამულით შევიწროებული იაპონია, კარგა ხანია გასავალს დაეძებს. ასეთი გასავალი კორეიაში ნახა და მიჰყო კიდეც ხელი თავისუფალ კორეის დამონებას და იქ თავის მკვიდრთა დასახლებას, კორეელები დიდ შევიწროვებაში ჩავარდნენ. დაარსდა საიდუმლო საზოგადოებანი, გაჩნდნენ ტერორისტებიც.

იტო, საერთო მოწმობით, არ იყო სასტიკი კაცი. პირიქით, იგი ყოველთვის ხელს უშლიდა თურმე კორეიაში მყოფ იაპონიის ჯარის უფროსს გენერალ ხასეგავას გადაჰარბებულ სისასტიკეს. მაგრამ ადვილი მისახვედრია, რად მოჰკლეს კორეელებმა განთქმული და ყველგან ცნობილი იტო და არა უცნობი ხასეგავა. ამით ალბად უნდოდათ საერთო ყურადღება მიექციათ და გაეგებინებინათ ქვეყნისთვის, რა ყოფასა და მონობაში არიან.

## თეატრი და ხელოვნება

**ილია ჭავჭავაძის საღამო.** 27 ოქტომბერს წ.-კ. საზოგადოების მთავარ გამგეობის მეთაურობით გაიმართება ილია ჭავჭავაძის ჩვეულებრივი სალიტერატურო საღამო. ბ-ნი გრ. რობაქიძე წაიკითხავს ლექციას ამ სათაურით: „სქესი, სიყვარული და „განდეგილი“. მონაწილეობას მიიღებენ საღამოში ბ-ნი ივ. სარაჯიშვილი, ი. ბარათაშვილი, ალ. კავსაძე და სხვანი. დასასრულ ცოცხალი სურათები დეკლამაციით.

—

**ქუთაისი.** შაბათს, 17 ოქტომბერს, ქუთაისის დრამატიულ საზოგადოების დასმა წარმოადგინა შილლერის ტრაგედია „ყაჩაღები“. ეს წარმოდგენა დანიშნული იყო 15 ოქტომბრისთვის, მაგრამ მსახიობის იმედაშვილის ავადმყოფობის გამო, რომელსაც ფრანც ფონ-მოორის როლი უნდა ეთამაშნა, არ შესდგა. წარმოდგენამ საერთო შთაბეჭდილება კარგი მოახდინა, და ეს უნდა მივაწეროთ უმთავრესად იმას, რომ წარმოდგენის გარეგანი, თვალსაჩინო მხარე კარგად იყო მოწყობილი. რაც შეეხება შინაგან მხარეს, თამაშს, ამ მხრით წარმოდგენამ ვერ დაგვაკმაყოფილა.

პიესის მთავარ გმირის ფრანცის როლს ასრულებდა ბ-ნი გუნია, რომელმაც სავსებით ვერ დაგვიხატა ამ ცბიერის, გაიძვერა, ვერაგის, პატივმოყვარეობით დაბრმავებულ გახრწნილ სულის კვეთება. ის რაღაც უხერხულად ჰგრძნობდა თავს ამ მისთვის შეუფერებელს მდგომარეობაში. ეტყობოდა, მისი თამაში ნაძალადევი იყო. ვისაც ვ. მესხიშვილი უნახავს ფრანც მოორის როლში, მას განსაკუთრებით არ მოეწონებოდა ბ-ნი გუნია. მიუხედავად ამისა, ბ-ნმა გუნიამ როლი მაინც არ წაახდინა.

სუსტი იყო გრაფის მაქსიმილიანე ფონ-მოორის როლში ბ-ნი კორიშელი: არავითარი მშობლიური გრძნობა იმის სახეზე, მის ხმასა და მოქმედებაში არ იხატებოდა. სუსტი იყო აგრეთვე ბ-ნი მურუსიძე შპიგელბერგის როლში. კარგი ამალია იყო ქ-ნი დავითაშვილის ასული, განსაკუთრებით მეხუთე მოქმედებაში, როდესაც იგი ჯერ სილას გააწნავს გამხეცებულს ფრანცს და შემდეგ ხმალს წაართმევს, თუმცა ხმალი ქარქაშიანად შერჩა ხელში, მაგრამ ეს მისი ბრალი არ იყო. სამაგიეროდ, სრულიად აუშფოთებლად მოისმინა მან შიკრიკის მიერ მოტანილი ამბავი კარლოსის სიკვდილის შესახებ, თითქოს მხოლოდ ვიღაც შორეული ნაცნობი მოჰკვდომოდეს. კარგები იყვნენ აგრეთვე ბ-ნნი ბალანჩივაძე—შვეიცერ, დადიანი—პატერი, ყალაბეგაშვილი — როლლერ და თუთბერიძე—ვარდოს ფონ-მოორ. უკანასკნელს ხელს ძლიერ უწყობდა მეტად მოხდენილი თვალ-ტანადობა და ტანისამოსი.

წარმოდგენას დიდძალი საზოგადოება დაესწრო.

აქვე არ შემიძლიან არ აღვნიშნო უმართებულო საქციელი ზოგიერთ „დამა-კავალრისა“, რომელნიც წარმოდგენის დროს გახურებულს არშიყობაში არიან და იმ დროს ხითხითებენ, როდესაც მსახიობნი ძლიერს დრამატიულ ადგილებს ასრულებენ. ამგვარად, ვერც თვითონ ისმენენ რასმე და სხვებსაც ხელს უშლიან. იმ ვაჟლოცვილებს ნუთუ სხვა, უფრო მოხერხებული ადგილი ვერ უშოვნიათ საარშიყოდ!

—

**ქუთაისი.** პოტაპენკოს „ახალი ცხოვრება“, რომელიც ქართულმა დასმა კვირას (18 ოქტ.) წარმოადგინა, ჩვენის აზრით, ამ ავტორის სხვა პიესებთან შედარებით სუსტი ნაწარმოებია. დედა აზრი პიესისა: შრომა-მეცადინეობა, სურვილი შეუჩერებლივ წინ მისწრაფებისა, მზად ყოფნა ყოველგვარ შემთხვევისა და ცხოვრების წინაშე. ამ მისწრაფების ძლიერი გამომხატველი პიესაში არის ლავრენტი რატომორცევი (ბ-ნი გუნია). იგი უკვე სამოცდა-შვიდის წლის მოხუცია. რა არ გამოუვლია თავის ხანგრძლივ სიცოცხლეში, მაგრამ იგი ეხლაც, ამ სიბერის ჟამს, მხნე ახალგაზრდულის სიამაყით მიილტვის წინ ახალის ძალით საქმის ასაღორძინებლად, ახალი ცხოვრების შესაქმნელად. მას შეუძლიან შთაბეროს ყველას სული აღფრთოვანებისა-გამხნევებისა, თუ იმის გვერდით მყოფი ადამიანი სრულიად არ შთაუნთქავს ჯერ ცხოვრების ცალმხრიობას...

რატომორცევის ოჯახი დიდია. მას სახლშივე ჰყავს ორი გათხოვილი ქალიშვილი ხარიტინა (ქ-ნი დავითაშვილისა) და აგნია (ქ-ნი ასათიანისა) ქმრებით. პირველის ქმარია უნიჭო და თავმოყვარე მხატვარი სემიგრადსკი (ბ-ნი ბალანჩივაძე). მეორე სიძეც მომღერალი კოზირენკო (ბ-ნი ყალაბეგიშვილი) ესეთივე ღირსებითაა დაჯილდოვებული. ამათ გარდა რატომორცევის ოჯახში იმყოფებიან მისი ცოლი კატერინა პეტროვნა (ქ-ნი ივანიძისა) და შვილიშვილები როდიონ (ბ-ნ ბარველი) და ოლიმპიადა (ქ-ნი ანდრონიკაშვილისა). მთელს ოჯახს გაჭირვების დღე დაადგა. რატომორცევს მოვალეები საჯარო ვაჭრობით სახლის მოწყობილობას უყიდიან. არსაიდან შველადახმარება არა სჩანს. სიძე მხატრავი. გულ-გატეხილია, ულონო. სიძე მომღერალი თავის მეუღლით ამ გაჭირვების დროს სასტუმროში გადაბარგდება, შორდება სიმამრს. „ხმას უნდა მოუაროს“ უფრო კი გაურბის მოსალოდნელ სისაწყლეს, რომ მისი ჯამაგირიდან ამოდენა ოჯახის შენახვა არ დასჭირდეს.

საჯარო ვაჭრობა ინიშნება. საოჯახო ნივთებში მხატვარი სიძის რამდენიმე სურათიცაა მოქცეული. ვაჭრობის დროს არაჩვეულებრივი შემთხვევა მოხდება—ეს უბრალო სურათები ას თუმნებში იყიდება და ყველაფერი ეს იმიტომ მოხდება, რომ სემიგრადსკის ნაცვლად სურათების დამხატველი სემირადსკი ჰგონიათ. ვალს შემოსავალი ასი თუმნით გადააჭარბებს. ეს ფული, რასაკვირველია, ოჯახს უბრუნდება... მხატვარი უკმაყოფილოა ასეთ შემთხვევით და სურს გამოამჟღავნოს საქმის ვითარება, მაგრამ ნებდება უმრავლესობის სურვილსა და ჩუმდება.

მოხუცი რატომორცევი არა ცხრება. ამ ფულით მას სურს სტამბა გახსნას. ეს მისი დიდი ხნის დაუკმაყოფილებელი მისწრაფება იყო. ეს აზრი მოსწონს ყველას. რატომორცევს ერთი თანამშრომელი, თანამოაზრეც მოემატება. ეს არის სტუდენტი ვიაზმიტინი. მას გაუფლანგავს ამხანაგების მინდობილი ფული. მის წინ ორი საშუალებაა; ან გადაიხადოს ვალი ან მოისმინოს ამხანაგების გამოცხადებული უნდობლობა და ზიზღი. ფულს ვერ შოულობს. უკანასკნელს მოვლენას ვერ ურიგდება—და თავი სასიკვდილოდ აქვს გამეტებული... მაგრამ აგერ ჩნდება სურვილი სტამბის დაარსებისა, მაშასადამე, შესაძლებელი იქნება შრომა, მუშაობა, ფულის შეძენა და ოდესმე ვალის გადახდაც. ეს აზრი, რომელიც მხნე რატომორცევის წყალობით მოეფინა ჭაბუკის გრძნობებს, ამხნევებს მას და აყვარებს სიცოცხლეს...

უნდოდ და უკმაყოფილოდ უყურებს საქმეს მხოლოდ მხატვარი სემიგრადსკი... ასი თუმანი!.. ეს ხომ სტამბის მოწყობის საქმეში არაფერს არ შეადგენს, საჭიროა მასალა, ძალა, მუშები... გამგენი...

— ჩვენ ვიქნებით მუშები!.. ჩვენის შრომით გავინაწილებთ საქმეს...

— აბა, გაინაწილეთ ყველამ როლები—ამბობს როტომორცევი და მართლაც ყველა ოჯახის წევრი ინაწილებს თანასწორად შრომას.

არ იღებს მონაწილეობას ამ ახალ საქმეში მხოლოდ მხატვარი სემიგრადსკი, იგი ბუნებას მეოცნებედ, მხატვრად გაუჩენია.

სტამბის საქმე ნელ-ნელა მიდის წინ. ძველ და მოუწყობელ მანქანაზე, რომელზედაც ისინი მუშაობენ საქმე მძიმედ და ცოტა კეთდება. საჭიროა ახალი მანქანა, მაგრამ მის შესაძენად პირველ ხანებში საჭიროა ოთხმოც თუმნამდე... აქაც მოულოდნელად ჩნდება საშუალება. რატომორცევის მოხუცი მსახური ნიკოდიმე (ბ-ნი კორიშელი) თავის 25 წლის მსახურებაში ოთხმოცდა ექვს თუმნამდე შეუგროვებია, ამ ფულს შესთავაზებს თავის ერთგულ ბატონს. საქმე სულ სხვაგვარად დატრიალდება. გაჩნდება ახალი მანქანა, გადიდდება საქმე, გაფართოვდება წარმოება, გაჩნდებიან მუშები, საჭირო გახდება [illegible] ბა. სტამბას [illegible] ნიკოდიმე [illegible] ცხლე ლაქიობას ჩვეული ვერა გაუგია-რა „კარეტურა“, „ავტორიასი“ ვერაფერი და დიდის ბოდიშით ითხოვს ისევ ძველ „თანამდებობაზე“ ჩამოყენებას.

მოხუცს თან და თან ეპარება სიბერე. სიარულს ვეღარ ახერხებს. მაგრამ მაინც მხნედ მუშაობს. ვიაზმინოვის შემწეობით, რომელმაც სტუდენტობას თავი გაანება, ვალებიც გადაიხადა და გაზეთის გამოცემასაც შეუდგებიან. საქმე უფრო გაფართოვდება...

მხატვარი სემიგრადსკი სრულიად ჩამოშორდა ამ საერთო ფერხულს. იგი თუმცა ოჯახშია, მაგრამ თვითონაც ჰგრძნობს, რომ იგი მეტია ამ ოჯახში. დამოკიდებულება მისსა და ხარიტინას შორის თან და თან ცივდება, ქმარს იპყრობს ეჭვი ვიაზმიტინოვის მიმართ, ურთიერთობა ცოლთან თან და თან მწვავდება და სამუდამოდ წყდება.. შორდებიან ერთმანეთს...

მომღერალს კორჩაგინსაც ცუდი ბედი ეწვია. დაჰკარგა ხმა. დასში მომღერლად აღარ გამოდგა. დამორჩილებული თავის ბედს იგი ბოდიშით უბრუნდება სიმამრს და ითხოვს ქარხანაში ადგილს.

— შენ მაღლიდან ძირს გადმოვარდნილს კვლავ შეგძლებია ფეხზე წამოდგომა,—უპასუხებს სიმამრი.—მომწონს შენი გადაწყვეტილება, მე ვსთხოვ ყველა წევრს, რომ მიგიღონ სტამბაში...

ასეთი გულკეთილი და ლმობიერია ყველას მიმართ რატომორცევი, მაგრამ მის გულკეთილობასაც ბოლო ეღება. ბუნების ვალი მოსახდელი აქვს. სიკვდილი კარზე მოსდგომია და მართლაც საზოგადო კრებაზე, როდესაც მან კიდევ ახალი წინადადება შეიტანა განსახილველად—გამოეცათ სრულიად იაფ-ფასიანი სახალხო გაზეთი—ამ დროს სიკვდილმა დააკაკუნა კარები, მოხუცი გარდაიცვალა და გადაუწყვეტელის გადაწყვეტა ახალ ძალებს მიანდო...

უნდა ვთქვათ, რომ პიესა საზოგადოდ ფერნაკლებია დედა აზრთან შედარებით. ამას ზედ დაერთო უგულო თამაშობა. მსახიობ იმედაშვილის ავადმყოფობისა გამო მისი როლი ბ-ნ დადიანს დააკისრეს, ამ უკანასკნელისაკი ბ-ნ კორიშელს. ვერც ერთმა და ვერც მეორემ როლებს ვერ დასძლიეს. მეტადრე ბ-ნ დადიანის ხმასა და მოძრაობას მაინც სრულიად არ ეწყობა სტუდენტური როლები.

ბ-ნი გუნია საუცხოვო რატომორცევი იყო. მთელს პიესაში იგი ნამდვილ დედაბოძად ითვლებოდა და რომ მისი თამაში არა, პიესა თავზე ჩამოექცეოდათ მოთამაშეთ.

ივანიძის ქალი უგემური კატერინა პეტროვნა იყო. გიმნაზიელ სოლონისა და გიმნაზიელ ქალის ოლიმპიადას როლებში ბ-ნმა ბარველმა და ქ-ნმა ანდრონიკაშვილისამ საკმაო სიმკვირცხლე და სიცოცხლე შეიტანეს. ბ-ნი ბარველი ამგვარ როლებს თამაშობს ხოლმე. მხატვარ სემიგრადსკის უფერულ როლში ბ-ნი ბალანჩივაძე უფერული იყო. როლის ცოდნაში ამ მსახიობს ამ საღამოს 2 ეკუთვნოდა. ვერ გავიგეთ, მესამე მოქმედებაში მსახიობი იცინოდა თუ ტიროდა. პიესის დედა აზრით სემიგრადსკი იმ დროს უნდა ქვითინებდეს. ჩვენის აზრით, ხმა მაღალ სიცილის მსგავს ტირილს ისევ ჩუმი—ყრუ ქვითინი სჯობია.

კარგები იყვნენ ბ-ნნი ყალაბეგიშვილი და მურუსიძე—პირველი მომღერალ კოზირენკოს როლში, მეორე მუდამ ბრძნულის ფიქრებით დატვირთული, მაგრამ ლაპარაკის დროს სისულელის მროშავ ვაჭრის შვილის კორჩაგინის როლში. ხარიტინას როლი ბუნდოვანი და ეფექტს მოკლებული მიგვაჩნია და უმნოს დაუმნოება აღარ ესაჭიროება. ქ-ნი დავითაშვილისა ბევრად უკეთესი ხარიტინა იქნებოდა, რომ... მოესურვებინა და ცდილიყო. ქ-ნ ასათიანისას ხმა თითქოს თანდათან უსუსტდება, ძლივძლიობით მოისმის იმისი ლაპარაკი სცენიდან.

გვსურს მივაქციოთ ბ-ნ რეჟისორის ყურადღება იმ გარემოებას, რომ მსახიობის თავის სახით და თავის ტანისამოსში გამოყვანა უკარგავს ელფერს პიესას. ამ საღამოს-კი ბ-ნი ბალანჩივაძე, ყალიბეგიშვილი და ბარველი სრულიად უგრიმოდ გამოვიდნენ სცენაზე.

ხუთშაბათს ითამაშებენ ზუდერმანის დრამას „მშობლიურ ჭერ-ქვეშ“.

**ჯაფარ-ფაშა.**

—

**არტისტების ავადმყოფობა.** როგორც ქუთაისიდან გვატყობინებენ, მსახიობები ა. იმედაშვილი და მ. ნემო სახადით (ტიფ.) გამხდარან ავად.

# სასამართლო

**მღვდლის გასამართლება.**

19 ოქტომბერს ტფ. სამოსამართლო პალატამ წოდებათა წარმომარგენლების მონაწილეობით, ხალხის დაუსწრებლად, განიხილა საქმე კუკიის სომხის ეკკლესიის მღვდლის არუთინ მ. ჯუღურიანისა. მას ჰბრალდებოდა, სომხურ ენაზე გამოცემულ წიგნაკში („ჩატუას ბედის ჩარხი") ღვთის გმობა და მთავრობის საწინააღმდეგო აზრების გამოთქმა. სასამართლომ უდანაშაულოდ იცნო მღ. ჯუღურიანი და გაამართლა,

**ვატმანის საქმე.**

ამავე დღეს ოლქის სასამართლომ გაარჩია საქმე ტფ. ტრამვაის ვატმანის თევდორე მჭედლოვისა, რომელსაც ბრალდებოდა ის, რომ შარშან, დეკემბერში, წესიერ სიგნალის მიუცემლად, დაუძრავს ვაგონი, რის გამო ვაგონის საფეხურიდან ჩამოვარდნილა ნინო ჭაბუკიანი და დაშავებულა.

სასამართლომ ბრალდებულს მჭედლოვს ერთი თვით პოლიციაში ჯდომა მიუსაჯა.

**ბოქაულის საქმე.**

გუშინ, 20 ოქტომბერს, სამოსამართლო პალატამ დაიწყო გარჩევა ახალციხის მაზრის, ბარალეთის ნაწილის ბოქაულის გ. სულხანიშვილის საქმისა. ბრალდება სამსახურის დროს უფლების გადამეტება.

**ესმა ქიქოძის ასული მახარაძისა.**

იყო დრო, როდესაც ჩვენის ქვეყნის ოჯახს, ამ ჩვენი ცხოვრების ბურჯს, განსაზღვრული სახე და საკუთარი მტკიცე ტრადიციები ჰქონდა. აკი მაშინ ამ ოჯახის წევრსაც, დედა აცი იყო იგი თუ ვაჟი კაცი, განსაზღვრული სახე და ელფერი ჰქონდა: იცოდი, რას ეტრფოდა იგი, ვისთვის ზრუნავდა, რა მიზანი ჰქონდა, რა იდეალი ასულდგმულებდა. აკი თავის დროის მოთხოვნილებასაც შესაფერად პასუხს აძლევდა მაშინდელი ჩვენი ოჯახი. ოჯახი მაშინ მკვიდრი საძირკველი იყო საზოგადოებისა და მთელის ერისა. ნუ მიაქცევთ ყურადღებას იმ გარემოებას, რომ მაშინდელი ოჯახის წევრნი მცირე ცოდნით იყვნენ აღჭურვილნი; თქვენ მიაქციეთ ყურადღება, როგორც ამას ამბობს ერთი ჩვენი ნიჭიერი პუბლიცისტი, „იმ წესს ანუ, უკეთ გსთქვათ, ტიპს მათის ზრდა-წვრთნისას, რა ლიდათ მაღალის ღირსებისა იყო იგი: თქვენს თვალ-წინ სდგანან ხასიათით სრულნი, ძლიერნი და თითქო ერთისა და იმავე ლითონისაგან ჩამოსხმული ადამიანიშვილები".

აი, ერთ ამისთანა ტიპს წარმოადგენდა ამ ორი კვირის წინად გარდაცვალებული ესმა მახარაძისა. ძველებურ ქართულ ოჯახში აღზრდილი, იგი მცირე ცოდნის პატრონი იყო, მაგრამ სულით მაღალი, ხასიათით მტკიცე და დაუღალავი მშრომელი და შემწე არა მარტო საკუთარ ოჯახისა, არამედ ბევრის თავისს ღარიბის ნათესავისა და გარეშების. მისი ოჯახი წარმოადგენდა პატარა და ფრიად სასარგებლო სკოლას, სადაც ბევრი ახალგაზდა ქართველ ქალი იწრთვნებოდა და სწავლობდა არა მარტო ოჯახურ საქმეებს. საყურადღებო ის იყო, რომ საკუთარის მაგალითით და ცხოვრებით ეს პატივცემული ქალი აჩვევდა და უნერგავდა თავისს ახალგაზდა მოსწავლეებს პატიოსან და დაუღალავ შრომის სიყვარულს და პატივისცემას. ამ გვარად მან თავის ხანმოკლე სიცოცხლეში ბევრ ახალგაზდა ღარიბ ქართველ ქალს მისცა პატიოსანი ცხოვრების გზა და კვალი და მით სასარგებლო წევრნი გახადა ოჯახისა და საზოგადოებისა.

დარწმუნებულნი ვართ, რომ ჩვენთან ერთად ისინიც პატივისცემით და მადლობით მოიხსენიებენ ესმას სახელს და საუკუნო განსვენებას შეუთვლიან მას. №

# უცხოეთი

**კრიტის საკითხი.**

საბერძნეთის დიპლომატიურ წრეებში დარწმუნებულნი არიან, რომ კრიტის საკითხი მშვიდობიანად დაბოლავდება. რუსეთისა და იტალიის დაახლოვება გავლენას იქონიებს საზოგადოთ ბალკანეთის საქმეებზე და კერძოდ კრიტის სვებედის გადაწყვეტაში. კრიტს ისეთივე ავტონომია მიეცემა, როგორიც აღმოსავლეთის რუმელიას ჰქონდა 1885 წლის შემდეგ—კრიტს უფლება ექნება საბერძნეთის პარლამენტში თავისი დეპუტატები იყოლიოს.

**ფერდინანდის მოგზაურობა.**

ბერლინის პრესა დიდის ინტერესით ეხება ბოლგარიის მეფის ფერდინანდის წასვლას სერბიაში. გაზეთების აზრით, ამ მოგზაურობას პოლიტიკური სარჩული უდევს, განზრახულია სლავიანთა სახელმწიფოებთან დაახლოვება. ზოგიერთი გაზეთი იმასაც ამბობს, რომ მეფე ფერდინანდი პრომპკანდს ეწევა სერბიასთან პირადი უნიის სასარგებლოდაო. უნდა სერბიის ტახტი მიიღოს. ამბობენ, პაშიჩიც ამის მომხრე არისო.

**გერმანელ ქალთა კრება.**

მიუნხენში ამ დღეებში დამთავრდა ქალთა კრება. დაესწრენ წარმომადგენელნი გერმანიის სხვა და სხვა ქალაქებიდან. კრებამ დაადგინა, იბრძოლოს საოჯახო რეფორმათა შემოღებისათვის და ამასთან აირჩია დეპუტაცია ქალთა კრების სახელით პროტესტი უნდა განაცხადოს ფერერის დასჯის წინააღმდეგ.

# რუსეთი

**სამართალში მიცემა.** როგორც ვიცით ამ რამდენიმე დღის წინედ პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტებმა კრება გამართეს და პროტესტი განაცხადეს ფერერის სიკვდილით დასჯის გამო. „რეჩი"-ს სიტყვით შინაგან საქმეთა მინისტრი სამართალში აძლევს კრების გამართველებს.

**სასწავლებლებში.** საერო განათლების მინისტრს ყველა სასწავლებლების უფროსებისთვის ცირკულიარი დაუგზავნია, ორი კვირის განმავლობაში შემატყობინეთ წელიწადში რამდენი მოწაფე ხდება ავად საიდუმლო ავადმყოფობითო.

**„ბერი".** „ბირჟ. ვედ." შემდეგ ამბავს გადმოგვცემს: ამ რამდენიმე თვის წინად პეტერბურგის მაზრაში სიარული დაიწყო მღვდელ-მონოზანმა კიპრიანმა. კიპრიანეს 70 წლის მოხუცია, მას ყველა ენდობოდა და მიღებულიც იყო სოფლებში და ხშირად სოფლელები მიცვალებულზე, ბავშვის მოსანათლავად მიიწვევდნენ ხოლმე. კიპრიანეს ძალიან უყვარდა პატარა ბავშვი, ნამეტან ქალიშვილები. ბავშვებიც ეტანებოდნენ კიპრიანეს. კიპრიანეს ბავშვები საცეიროდ დაჰყავდა ხოლმე და როდესაც იგი ჩვეულებისამებრ რომელიმე ნაჩვევ ადგილში გაჩნდებოდა, ბავშვების სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. ამ დღეებში მღვდელ-მონოზანი კიპრიანე ლიგოვოში ჩასულა და იქ კარგა ხანი დარჩენილა. კიპრიანემ ჩვეულებისამებრ ბავშვები ტყეში წაასხა. თურმე ნუ იტყვით მღვდელ-მონოზანი კიპრიანე, 70 წლის მოხუცი, ბავშვებს...... აუპატიურებდა და ისე უსინდისოდ, რომ აწერა ყოვლად შეუძლებელია. კიპრიანე უკვე დააპატიმრეს, მას სამართალში მისცემენ. კიპრიანე გენნადიევის მონასტრიდან (იაროსლავის გუბერნიაში) ყოფილა და ადგილობრივ ეპისკოპოსს ღირსება აუხდია, მაგრამ კიპრიანს ამისთვის არ მოუცდია და ხეტიალი დაუწყვია. ასე რომ მან არც-კი იცის, რომ ღირსება აყრილი აქვს.

**გაპონის მოკვლის საქმის გამოძიება.** სატახტო ქალაქის გაზეთების სიტყვით საგანგებო საქმეთა გამომძიებელი პეტერბურგში უკვე შესდგომია „ცნობილ" მღვდლის გაპონის მოკვლის საქმის გამოძიებას. სხვათა შორის, მოწმეებად დაუბარებიათ ყოფილ „ქარხნის მუშების კავშირის" განყოფილების თავმჯდომარეები და კავშირის ცენტრალურ კომიტეტის წევრები. ამათის სიტყვით სიმართლეს მოკლებულია ინჟენერ რუტენბერგის ცნობები გაპონის მოკვლის შესახებ. (რუტენბერგის წერილები გაპონის შესახებ ჩვენ გაზეთშ აც დაიბეჭდა).

**ლეშტუკოვის შესახვევში მომხდარი მკვლელობა.** მკითხველს უკვე მოეხსენება, რომ ამ რამდენიმე დღის წინედ პეტერბურგში ლეშტუკოვის შესახვევში მოჰკლეს უცნობი. ამ მკვლელობამ დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. ფეხზე დააყენეს პეტერბურგის მაძებარ პოლიციის ყველა აგენტები. სატახტო ქალაქის გაზეთები სავსეა ამის შესახებ ცნობებით. ჩვენ უკვე ცნობა გვქონდა, რომ მკვლელი ინჟენერი გილევიჩიაო. რა მიზეზით ჩაიდინა ეს მკვლელობა ესეც ვიცით. ინჟენერი გილევიჩი დაზღვეული ყოფილა 100,000 მანეთში. მას ამ ფულის აღება სდომებია და თავის ძმასთან სტუდენტთან შეთანხმებით გადაუწყვეტია ვისიმე მოკვლა და მერმე ხმის გავრცელება ინჟენერი გილევიჩი მოჰკლესო. ფული მის ძმას, სტუდენტს გილევიჩს უნდა აეღო. „კასპ"-ს პეტერბურგიდან დეპეშით ატყობინებენ: მაძებარ პოლიციის აგენტის სიტყვით ლეშტუკოვის შესახვევში „ჭეშმარიტ რუსთა კავშირის" წევრად ნამყოფი ბორკოვი მოუკლავთ. ეს ის ბორკოვია, რომელმაც ნაფიც ვექილ ვებერს (ვებერი გერცენშტეინის ქვრივის ინტერესების დამცველია) წერილი მისწერა, „კავშირის" შესახებ ბევრი ცნობები მაქვს და თუ გინდათ გამოვაქვეყნებო. ვებერმა ბორკოვი გამომძიებელთან გაგზავნა. ბორკოვმა გამომძიებელს ბევრი რამ „საინტერესო" უამბო. ამის შემდეგ ხმა გავრცელდა ბორკოვს „ჭეშმარიტ რუსთა კავშირი" მოჰკლავსო. საინტერესო ის არის დანამდვილებით გაიგოს კაცმა, რა თქმა უნდა, თუ მართლა ბორკოვია მოკლული, ბორკოვი გილევიჩმა მოჰკლა თუ „ჭეშმარიტ რუსთა კავშირმა". ეხლა კი მკვლელად ინჟენერ გილევიჩს ასახელებენ.

**ტოლმაჩევის საჩივარი.** ტოლმაჩევმა სენატში საჩივარი აღძრა, ოდესიდან არჩეულ დეპუტატი ბროდსკი უკანონოდ არის არჩეული, რადგან არჩევნების დროს, ბროდსკი თავის თავს არკადის უწოდებდა და ნამდვილად-კი რაიმი ჰქვიანო. სენატს უკვე განუხილავს ტოლმაჩევის საჩივარი და დაუდგენია უყურადღებოდ დასტოვოს იგი. სენატს ტოლმაჩევისთვის დაუბრუნებია საჩივარი და მიუწერია, გამოგზავნეთ ჩვეულებრივი რაპორტი, რომ ოდესამ სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატად ბროდსკი აირჩიაო.

**სიკვდილით დასჯა.** სიკვდილით დასჯა გადაწყვეტილი აქვთ: სარატოვში 4, პეტერბურგში 1, ხარკოვში 3, რეველში 2, სამარაში 1, მოსკოვში 2 კაცს. სიკვდილით დასაჯეს: სარატოვში 4, რიგაში 1, ოდესაში 1, უფაში 3, იურიევში 2 კაცი.

**17 ოქტომბრის დღესასწაული.** ჩვენ უკვე გვქონდა, რომ მთავრობას უნდა 17 ოქტომბერი რუსეთი ეროვნულ დღესასწაულად გამოაცხადოსო. მთავრობისა კი რა მოგახსენოთ და სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატებში კი ბევრს ჰქონია ეს აზრად. ოქტომბრისტ თავად გოლიცინს გადაუწყვეტია სათათბიროს წინადადება მისცეს. რომ იმ დარბაზში, სადაც სათათბიროს საერთო სხდომები იმართება, კედელში გააკეთოს მარმარილო, რომელზედაც ოქროს ასოებით უნდა ამოიჭრას 17 ოქტომბრის მანიფესტის სიტყვები. ამასთან გოლიცინის აზრით ეს დღე რუსეთის ეროვნულ დღესასწაულად უნდა გამოცხადდეს. ოქტომბრისტების გარდა გოლიცინს მხარს დაუჭერენ ზომიერი მემარჯვენეები, ნაციონალისტები და კადეტები. უკიდურესი მემარჯვენეები, რა თქმა უნდა, წინააღმდეგნი იქნებიან. მათ გადაუწყვეტიათ სათათბიროს წინადადება მისცენ, მარმარილოზე 17 ოქტომბრის მანიფესტის სიტყვებს კი ნუ ამოვჭრით, არამედ 3 ივლისის კანონიო.

**ადგილობრივ მეურნეობის საბჭო.** ადგილობრივ მეურნეობის საბჭოსთვის დემონსტრაციულად თავი მიუნებებიათ პოლონელ წევრებს. საქმე იმაშია, რომ ადგილობრივ მეურნეობის საბჭო იხილავს პოლონეთის ქალაქების თვით-მართველობის შესახებ კანონ-პროექტს, კანონპროექტი შედგენილია შინაგან საქმეთა სამინისტროსაგან. სამინისტრო ქალაქების მომავალ თვით-მართველობებში შესამჩნევად ზღუდავს პოლონელების უფლებას. ადგილობრივ მეურნეობის საბჭოს წევრნი სამინისტროს კანონ-პროექტების მომხრეები არიან. ეს არის მიზეზი, რომ საბჭოდან დემონსტრატიულად გავიდნენ პოლონელი წევრები.

**სამართალში მიცემა.** იოანნიტები (იოანნე კრონშტადტელის მიმდევრები არიან) სამართალში აძლევენ ჟურნალისტებს სკრობოგოვს, სტოლიპინს (პრემიერ-მინისტრის ძმას) და სკვორცოვს. (გაზეთ „კოლოკოლის" რედაქტორი, ცნობილ შავ-რაზმელი, მისიონერია), გაზეთებში ცილი დაგვწამესო.

**სამხედრო-საექიმო აკადემიაში.** „კასპ"-ს პეტერბურგიდან დეპეშით ატყობინებენ: „1910 წლიდან სამხედრო-საექიმო აკადემიაში ყველას საკონკურსო ეგზამენებს დააჭერინებენ". აქამომდის მხოლოდ ატესტატების კონკურსი იყო.

**შუამდგომლობა.** „ჭეშმარიტ რუსთა კავშირი" შუამდგომლობს საერო განათლების მინისტრთან, პოლონელები ძალიან თავს წავიდნენ, ამიტომ დახურეთ ვარშავის უნივერსიტეტი და საშუალო სასწავლებლებში პოლონელებს ისეთივე უფლებები მიეცით, როგორც ებრაელებსაო.

**თვით-მკვლელობის წინააღმდეგ.** ამ უკანასკნელ დროს რუსეთში ძალიან გავრცელდა თვით-მკვლელობა. ისეთ სამრეწველო ცენტრებში, როგორც მოსკოვია, სადაც აუარებელი უმუშევარია, თვით-მკვლელობა ხომ ჩვეულებრივ მოვლენად გადაიქცა. სწორედ ამ ქალაქში გადაუწყვეტიათ დაარსონ სრულიად რუსეთის ლიგა, რომელიც ებრძოლება თვით-მკვლელობას.

**საზოგადოება „რუსეთის ერების დაახლოვების" დამფუძნებელი კრება.** როგორც მკითხველს მოეხსენება მოსკოვში არსდება საზოგადოება „რუსების ერების დაახლოვება". 26 ოქტომბერს მოხდება ამ საზოგადოების დამფუძნებელი კრება. ამ კრებაზე, სხვათა შორის, ილაპარაკებს სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი მაკლაკოვი.

**აღშფოთებული მზრუნველი.** კიევში პეტრე დიდის სახელობაზე კერძო გიმნაზიაა გახსნილი. კიევის სასწავლო ოლქის მზრუნველს ზღუდავს ამ გიმნაზიის მოსწავლეების დედ-მამისთვის გადაუცია, თუ შეაგროვებთ 55,000 მანეთს, რომ კერძო გიმნაზია მთავრობის ხელში გადავიდეს და მთავრობამ რიგიანად მოაწყოს საქმე ხომ კარგი, თუ არა და გიმნაზიას დავხურავო. მშობლები ძალიან დაღონებულან, ან საიდან იშოვნიდნენ 55,000 მანეთს! მაშინ მათ შეუგროვებიათ 1,500 მანეთი, მზრუნველისთვის გადაუციათ და თანაც განუმარტიათ, ამ ფულით მთავრობის ერთ-ერთ გიმნაზიაში (კიევში რამდენიმე გიმნაზიაა) პარალელური კლასები გახსენით და ჩვენ შვილებს იქ გადავიყვანთო. მზრუნველს მშობლებისთვის ფული უკან დაუბრუნებია, ეს ფული... სულ ებრაელებმა შეაგროვეს და ამიტომ თქვენ თხოვნას ვერ შევიწყნარებო!?!

**ცარიცინის სამაზრო ერობის დადგენილება.** „რეჩ"-ს ცარიცინიდან დეპეშით ატყობინებენ: ცარიცინის სამაზრო ერობის გამგეობამ დაადგინა, ექიმებად უსათუოდ რუსები უნდა მოვიწვიოთ, „არა რუსებს" კი ადგილი არ უნდა ჰქონდეთ ჩვენს მაზრაშიო. ამის გამო ცარიცინის მაზრის ექიმებმა გალინოვსკაიამ და შაპირომ ექიმობას თავი მიანებესო.

**ქალები—სახელმწიფო სამსახურში.** ამ რამდენიმე ხნის წინედ შინაგან საქმეთა მინისტრმა გუბერნატორებს მისწერა, მოიწერეთ რამდენად სასურველია, რომ სახელმწიფო სამსახურში ქალები მივიღოთ. „რანნეე უტრო"-ს სიტყვით შინაგან საქმეთა მინისტრს ყველა გუბერნატორებისგან ამის შესახებ უკვე მიუღია პასუხი. გუბერნატორების უმრავლესობა მომხრეა, რომ სახელმწიფო სამსახურში ქალები მიღებულ იქმნენ და ამასთან იმისთანა უფლებებით, როგორც მამაკაცები.

**ახალი კანონ-პროექტი.** იუსტიციის მინისტრს სათათბიროში შეუტანია კანონ-პროექტი, რომლითაც ნაფიც-ვექილებს უფლება ეძლევათ ამა თუ იმ საქმის გარჩევის დროს ნაფიც მსაჯულებს მოაგონონ თუ რა სასჯელი მოელის ბრალდებულს თუ ნაფიც მსაჯულები მას დამნაშავედ იცნობენ. აქამომდის ნაფიც-ვექილს ამის უფლება არა ჰქონდა!!!

**სახელმწიფო სათათბიროში.** როგორც ჩვენ მკითხველს მოეხსენება სახელმწიფო სათათბიროში მდივნის უფროსმა თანაშემწე ზამისლოვსკიმ თავჯდომარის მოთხოვნაზე, წაიკითხეთ სოციალ-დემოკრატების შეკითხვა მე 96 სტატიის შესახებო, უარი განაცხადა, სოციალ-დემოკრატების შეკითხვას ვერ წავიკითხავ, რადგან მე ხელმწიფე—იმპერატორის ერთგული ქვეშევრდომი ვარ და თუ შეკითხვა წავიკითხე ჩემ რწმენას უღალატებსო. საინტერესო ის არის, რომ სახელმწიფო სათათბიროს თავჯდომარე ხომიაკოვმა არავითარი ზომა არ მიიღო ზამისლოვსკის წინააღმდეგ და შეკითხვა წაიკითხა მდივნის უმცროსმა თანაშემწე სოკოლოვმა, თითქოს ზამისლოვსკის კბილი ასტკივდა და სხვა არაფერიო. საინტერესო კიდევ ის არის, მემარჯვენეები ამით არ დაკმაყოფილებულან და გადაუწყვეტიათ სათათბიროში ოფიციალურად პროტესტი განაცხადონ, სახელმწიფო სათათბიროს თავჯდომარე ხომიაკოვი უკანონოდ მოიქცა, რომ სოციალ—დემოკრატების შეკითხვა მოახსენა სათათბიროსო. ოქტომბრისტები კი ნაწყენები დარჩენილან მარჯვენივ ამხანაგების ასეთ საქციელით და გადაუწყვეტიათ ზამისლოვსკის ჩამოართვან მდივნის უფროსი თანაშემწის ადგილი. თვით ხომიაკოვს კი „მამაშვილურად" უთქვამს, მემარჯვენეებს პროვოკაცია ვერ გასჭრის: ტყუილად იცხელებენ თავსაო.

**ერთი მრავალთაგანი.** კიევის მაძებარ პოლიციას რაღაც მექრთამე უფროსები დაებღენენ. ჯერ იყო და ასლანოვი სამართალში მისცეს და კიდევაც სასამართლოში ამოაყოფინეს თავი. წარმოიდგინეთ ასლანოვის მოადგილე კრასოვსკიმ მისი ზნე-ჩვეულებისა აღმოჩენილა. როგორც ასლანოვისა ისე კრასოვსკის დევიზი ყოფილა: ქურდ-ბაცაცებს თავისუფლება, მხოლოდ ჩვენ ფული... კრასოვსკის სამართალში აძლევენ.

**ვაჭრობა უნივერსიტეტში.** „რეჩს" ვარშავიდან შემდეგ ამბავს ატყობინებენ: ვარშავაში უნივერსიტეტში საერო განათლების მინისტრმა, სხვათა შორის, ერთი ახირებული წესი შემოიღო. საქმე იმაშია, რომ თუ ერთი ფაკულტეტიდან მეორეში გადასვლა გინდათ, უსათუოდ იმ ფაკულტეტში, რომელშიაც გადადიხართ, ისეთი პირი უნდა იპოვოთ, რომელიც თქვენ ფაკულტეტზე გადასვლას იკისრებს, მაგრამ რადგან ეს ძალიან ძნელია, ამიტომ ვარშავის უნივერსიტეტის სტუდენტებში აშკარა საჯარო ვაჭრობა ხდება. საქმე იქამდისინ მივიდა, რომ აუდიტორიებში ხშირად შეხვდებით მაგალითად ასეთ განცხადებას: „სტუდენტ—მედიკს სურს იურიდიულ ფაკულტეტზე" გადასვლა, თუ მსურველი აღმოჩნდება, რომ ალაგი გავცვალოთ, იგი ჯილდოს მიიღებსო და სხვა!!.

**თათბირი.** „რუსკ. ვედ." სიტყვით ფინლიანდიიდან ჩამოსულან ფინლიანდიის სეიმის სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის წევრები. ფრაქცია ფინლიანდიის საქმეების შესახებ მოლაპარაკებას გამართავს სახელმწიფო სათათბიროს სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციასთან.

# წერილი რედ. მიმართ

გთხოვთ თქვენის გაზეთის საშუალებით, ულრმესი მადლობა გამოუცხადოთ იმათ, რომელთაც სურამის პროგიმნაზიის ღარიბ მოწაფეთა სასარგებლოდ გამართულ ბაზრობას შემოსწირა ფული და ნივთები. შემომწირველთა სია:

ორ-ორი მანეთი: ივლ. მაჭავარიანი, ი. ძნელაძე, ილ. გუბანსკისა, ნ. ცაგურია; თითო მანეთი: ივ. მაჭავარიანი,ან. ანდრონიკოვი, არ. გრიძბერგი, ვლ. ჩიქოვანი, დ. კახაძე, ივ. ორჯონიკიძე, თ. აბაშიძე, ხ. კვაჭაძე, მ. დაბრუნდაშვილი, ალ. საფაროვი, ვლ. ნახიძე; 80 კაპ.: ნ. მლისევისა; ათ-ათი შაური: გ. იღნათაშვილი, გრ. გრძელოვი, ს. ღვანიძოვი; 20 კაპ.: ან. გოგიშვილი; ნაკერი ბალიშები: ქ. კორძაია, მ. გვერწითელისა, ბ.ქურდოვანიძე; საკერტები: ხოფ. ორჯონიკიძისა, ხ. კაკაბაძისა, ხ. ორჯონიკიძე, ალ. მერიძისა, მ. ნოდია, ხ. გამრეკელოვისა; პერანგის მოქსოვილი გულები: ეკ. ლომსაძისა, ბ. აბრამიშვილისა, ეკ. ზიდირბეგოვი, მ. სადაღოვი; წყვილი ყვავილების ვაზა: ალ. ხიზრავა ქ. ცაგარლისა, გ. მგალობლიშვილი, ძ. აკოფოვისა; თითო ვაზა: ნ. გელაშვილი, ალ. ზიდირბეგიშვილისა, ოლ. აბაშიძე; სარძეველები: თ. მშველიძისა, გ. დათეშოვისა, გ. მაღრაძე, მ. იღნათაშვილი, ნ. და ივლ. ბოგდანოვი; წყვილი ფინჯანი: ქრ. დავლიშვილი, ელ. ხაბურიანი; თითო ფინჯანი: ნ. ან. ნიევისა, ვ. მამინოვისა, ლ. ჩიკვაიძე, ან. ჯოჯუა, ნ. გრძელოვისა,—12 ცხვირსახოცი, დ. მველიძე—ჭიქა, დ. მაზალოვისა—6 ჭიქა და 6 ლამბაქი, გრ. ორჯონიკიძე—სახურე, ალ. ზიდირბეგიშვილისა—2 პირსახოცი, ხოფ. კორძაიასი—2 სალფეტკი, ოლ. კვიცინაძისა 2 მეთ. პირი და პორთფელი, დ. ვარსიმოვისა—წინსაფარი, ნ. ქურდოვანიძისა—წინსაფარი და პერანგი, მ. და ეკ. ზომინევი—ლამბაქი, გრაფინა, სათამაშო ცხენი, ან. და მარ. შებიევები—კანფეტი და სტაქანი, მარ. ორჯონიკიძე—საკარამე, ეკ. ცნობილაძისა—6 ლამბაქი, მ. ლავროვისა—2 ქანწი და პროჟექტორი, ლ. მელიქოვისა—წინდები, ეფ. გერსხელიძისა—ჩულქები, ეკ. გამრეკელოვისა—ჩულქები, მ. ახალაძე—სამაქრე, ვ. ნებიერიძე—სალფეტკი, ვ. ზემკენოვისა ალ.—გადახაფარებელი, ს. მღწინელიძე—სამაქრე, თ. ფანჩულიძე—4 ცხვირსახოცი, ქ. ორჯონიკიძე—6 სალფეტკი, ოლ. ნოდია—1 ხაპტი, აბრეშუმის ძაფები, მ. კოდინოვისა—ხელთათმანები, ვ. ჯღბაძე—ნაქ. სალფეტკი, ან. გეორქოვისა—ნაქ. სალფეტკი, პ. ჯღბაძე—ნაქსოვი, ხ. ლომიძე—6 თეფში, ხ. ნაზაროვისა—სამაქრე, ვ. სავანელი—6 სამარილე, ჯ. მგალობლიშვილი —სურათების ჩასაწყობი, ივ. ხულაშვილი—ჩუსტები და ნაპერის ქუდი, გ. ცქლაშვილი—ქუდ. დუხი, ივ. ხალებოვი—12 [illegible] და 6 [illegible]—12 ბოთლი ლიმონათი, [illegible]—ფიქრა. სარ. [illegible], კიკნაძისა—[illegible], ნ. გაგოშიძე—სალფეტკი, ვლ. ჩხეიძე—საბავშვო სერვიზი, ვ. ზავნიძე—პირსახოცი და ზედ. საქმე, მ. ერემოვი—პირსახოცი, ვ. ნიჟაძე—სამაქრე, ბ. სარალიძისა—ხელთათმანები, სად და აიკ. აკოფოვები—აბაჟური და პორთფელი, ს. არუთინოვი—სალფეტკი, გ. და ან. ჯღბაძეები—პირსახოცი და სალფეტკი, შ. ცაგარელი—რიდიკული და სამაქრე.

ელენე ბეჟანის ასული ორჯონიკიძე.

—

„ტიფ. ლისტოკის" მე-212 ნომერში მოთავსებული იყო წერილი ლ. ლ.-ასი სათაურით „Благотворительная ариѳметика", რომელშიაც ბრალსა სდებს თიანეთში წარმოდგენაში მონაწილეობის მიმღებთ წარმოდგენის შემოსავლის გაფლანგვაში. ყველა ეს მტკნარი—ტყუილია, გამოგონილი ლ. ლ.-ს მიერ. წარმოდგენა იყო არა სამკითხველოს სასარგებლოდ (როგორც სწერს ლ. ლ.), არამედ ჩემს სასარგებლოდ და არავის არავითარი შემწეობა არ აღმოუჩენია, ყოველ საჭირო მასალ ს ვყიდულობდი ჩემის ფულით. წმინდა შემოსავალი დარჩა ოცდა ერთმეტი მანეთი, რომლითაც გამოვიწერე სამკითხველოსათვის წიგნები და ჟურნალები.

წარმოდგენის გამგე **გედეონ გელოვანი.**


# განცხადებანი

**პირველი კერძო სამკურნალო დოქტ. ნავასარდიანისა**

დაარსებულია 1880 წელს.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ყოველ დღე, კვირებს გარდა

**დ ი ლ ი თ:**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.

**ყ. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საშვილოსნო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ნ. ტ. მუღინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. ბეკეტიანცი:** [illegible] სიფილისი, ვენერ., [illegible]

**ა. მ. პუგინოვი:** 12 [illegible] ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

**ა. ი. კარაპეტიანცი:** 1—1½ ს. შინაგან და საბავშვო.

**ნ. ვ. ალბრეხტი:** 12—1¼ ს. შინ. და ბავშვ.

**ო. ვ. გეევსკაია-ენგელი:** 12—1 ს. საშ., ქალ. და ბავშვ.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**ო. ვ. გეევსკაია-ენგელი:** 6—6½ ს. საშვილოსნო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ა. ფ. მარცინშევსკი:** 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ. კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი

მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**

(წ.—1—198)

**მეორე სპეციალური კლასი ტერ-სტეფანოვის სავაჭრო სკოლისა**

(ჩინის მიღების უფლებით)

იხსნება ამა წლის პირველ იანვარს. სწავლა ნაშუად. 4½ ს.-დან. ნახევარი წლის ფასი 60 მ. წინ და წინვე უნდა იქნას შეტანილი. მოსამსახურეთათვის განაწილება შეიძლება.

ველიკო-კნიაზის ქ., N 17, ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. შესასვლელი მიხეილის პროსპ. N 16-18.

(3—513—1)




**ალექსანდრე როსტომის ძე თაბაგარის მაღაზია ქ. ქუთაისში.**

ზომიერ ფასებში როგორც ნაღდზედ, ისე ნისიადაც თვიური გადახდით, ვყიდი საუკეთესო საკერავ და ჩულქის საქსოვ მაშინებს, გრამოფონებს და მათ მოწყობილებას.

საქონელს ვღებულობ საზღვარ-გარეთის საუკეთესო და ბევრჯელ დაჯილდოვებულ ქარხნებიდან. **მაშინები მაღალ ხარისხოვანია** და ბევრად უფრო გაუმჯობესებული **„სისტემა ზინგერ"-ზე.** საქონლის სიკარგეში ვიძლევი გარანტიას ათი წლით უფასო შესწორებით, ქარგვას და ჩულქის მაშინებზე ქსოვას ჩვენ თვითონ ვასწავლით.

აგენტები გვყავს და ჩვენი საქონელი იყიდება შემდეგ ადგილებში: სამტრედია, ხონი, ყვირილა, ჭიათურა, ონი, აბაშა, სვირი, ბაღდადი, ლანჩხუთი და სხვაგან. ბის გამოგზავნითაც შეიძლება საქონლის დაბარება და თუ საქონელი მოსაწონი არ იქნება, ფულს უკან უბრუნებთ. წერილობით მიწერმოწერაზე, პასუხს სწრაფად ვიძლევით.

**ა დ რ ე ს ი:** А. Р. Табагари, г. Кутаисъ.

(100—6—82)